# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 30 მაისი, 2015 წელი.

№98 (7743)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ვებ გვერდი: www.sakresp.ge ფასი 50 თეთრი.


## კობახიძე „რუსთავი-2“-ის, ანუ სიცრუის წინააღმდეგ



**კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ნების-მიერ ცრუ ინფორმაციაზე მექნება მკაცრი რეაქცია. რამდენ სიყალბეს გაავრცელებენ, იმდენი საჩივარი იქნება და როგორია მათი სტანდარტი, ამას უკვე საზოგადოება შეაფასებს.**

2

**მანანა კობახიძე ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის წინააღმდეგ დავას სასამართლოში აგრძელებს. ჟურნალისტთა ეთიკის ქარტიამ საქმეზე „კობახიძე „რუსთავი-2“-ის ჟურნალისტების — ეკა გაგუასა და თეა ვაშალომიძის წინააღმდეგ“ გადაწყვეტილება კობახიძის სასარგებლოდ გამოიტანა. საქმე ეხება „კურიერის“ ეთერში გასულ სიუჟეტს ბათუმის პორტთან დაკავშირებით, რომელიც საინფორმაციო სააგენტო „ფრეშნიუსზე“ დაყრდნობით მომზადდა. სიუჟეტის მიხედვით, დეპუტატის მეუღლე დასაქმებულია კომპანია „ლუკოილში“, რომელიც ჩართულია კორუფციულ გარიგებებში.**

**ვიცე-სპიკერი აცხადებს, რომ მისი მეუღლე ამ კომპანიაში არ მუშაობს. დეპუტატი ამბობს, რომ „ლუკოილში“ დასაქმებულია ნაციონალური მოძრაობის წევრი, ვანის მაჟორიტარი დეპუტატი პაატა ლეჟავა და მისი მეუღლე.**

**— რატომ იწყებს სამართლებრივ დავას „რუსთავი-2“-თან, რატომ ჩავარდა ზვიად კვაჭანტირაძის კანდიდატურა და რა მიზეზით დატოვა ნაციონალური მოძრაობა ოთხეულმა? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge მანანა კობახიძეს ესაუბრა.**

— სამწუხაროდ, უკვე ტრადიციად იქცა ცილისმწამებლური, ყალბი ინფორმაციის გავრცელება. რადგან პოლიტიკოსი ხარ, ზოგიერთ ჟურნალისტს ჰგონია, რომ შეუძლია, ყველაფერი დაგაბრალოს. სამწუხაროდ, ზოგიერთ მედიასაშუალებას გამოხატვის თავისუფლება გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება ჰგონია. ეს კეთდება მიზანმიმართულად და ძალიან ბინძური მეთოდებით, რათა კონკრეტული პოლიტიკოსის მიმართ საზოგადოებას შეუქმნან სრულიად არასწორი შეხედულება.

ეს ინფორმაციაც გავრცელდა მიზანმიმართულად. მიზანიც ნათელია, საზოგადოება დააჯარონ, რომ პარლამენტის წევრი კერძო კომპანიების მეშვეობით, თითქოსდა, ჩართულია კორუფციულ გარიგებებში. გადავწყვიტე, რომ ასეთ შემთხვევებში არ გავჩერდე და ვიჩივლო. არავის არ ეპატიება ცრუ ინფორმაციის გავრცელება. ეს არ არის შეცდომა, ეს არის მიზანმიმართული კამპანია ჩემს წინააღმდეგ.



ზეიმი თბილისი და მე-80 ბაგა-ბაღში.

## ბავშვობის დაუვიწყარი დღესასწაული

8

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. ჩვენში, რომ ვთქვათ, განა წელიწადის ყოველი დღე ბავშვთა სიყვარულის, მოფერების, აღზრდისა და დაცვის დღე არ არის?! თუნდაც ქალთა დღე ავიღოთ და ჩვენში დამკვიდრებული დედის დღეც. მაგრამ ბავშვებსაც სურთ ზეიმით აღნიშნონ მთელ მსოფლიოში მათთვის დაკანონებული ზაფხულის პირველი დღე, როგორც მათი ყველაზე დიდი დღესასწაული.

## ლევან კალანდაძე: სავალუტო მაქინაციები „ფრთიანი ანგელოზების“ ქვეყანაში



3

**არაერთხელ მითქვამს — რაკი პარლამენტს ევალება ფინანსური მონიტორინგი, კეთილი ინებოს და დროულად გამოიკვლიოს, ყველა კითხვას გასცეს პასუხი და გვითხრას, რასთან გვაქვს საქმე, ვისი ბრალეულობის საკითხი იკვეთება.**

არასამთავრობოები VS ხელისუფლება

## რა გააფუჭა ივანიშვილის „არაფორმალურმა მმართველობამ“?!

4

„ოცნების“ მთავრობა მესამე სექტორს არც ამაში და არც სხვა რამეში არ ეთანხმება



სოსო რობაქიძე:

## ძალიან მალე საქართველოს კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობა შეაშფოთებს?!

2

## გასაიდუმლოვდება მშვიდობიან დროს რუსეთის სამხედრო დანაკარგები?

5

# პრემიერი მთავრობის ეკონომიკურ გუნდს მოუწოდებს, მაქსიმალური ინფორმაცია მიაწოდონ მოსახლეობას



**ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის სხდომაზე ისაუბრა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ორი დღის წინათ გამოქვეყნდა უმუშევრობის მაჩვენებელი, რომელიც ბოლო 11 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია.**

„გასული წლის განმავლობაში 33 100 სამუშაო ადგილი შეიქმნა. მინდა კიდევ ერთხელ განვმარტო, რომ აქედან 90% სწორედ კერძო სექტორზე მოდის და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. ასევე გეტყვით, რომ პოზიტიური ტენდენციები შეინიშნება ექსპორტის დინამიკაშიც. მაღალი ზრდის ტემპი შენარჩუნებულია სოფლის მეურნეობაშიც, ასევე გაზრდილია სასტუმროების და რესტორნების სექტორი, რაც პოზიტიური სიგნალია და ტურისტების მზარდი რაოდენობის შედეგია. ველოდებით, რომ გვექნება კარგი ტურისტული სეზონი. აპრილის თვეში ასევე გვქონდა ეკონომიკური ზრდის ტემპი, თუმცა, მონაცემები ჯერ ბოლომდე დაზუსტებული არ არის და არ მინდა წინასწარი კომენტარი გავაკეთო. ეს ყველაფერი გვიმყარებს განცდას, რომ არის პოზიტიური ტენდენცია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მისივე თქმით, ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროები აქტიურად მუშაობენ ინვესტიციების მოზიდვაზე და პრივატიზაციის გეგმაზე.

„მე ვთხოვ ეკონომიკურ გუნდს, რომ მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია მიეწოდოს მოსახლეობას, რომ ეს განცდა, რომელიც რეალურად არის ქვეყანაში, ყველასთვის თვალსაჩინო გახდეს, განსაკუთრებით ბიზნესმენებისთვის და მთელი მოსახლეობისთვის“, – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### ქართული დროშა ავღანეთიდან

**საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ავღანეთიდან, 31-ე ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეებმა, საქართველოს დროშა გამოუგზავნეს.**

მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახურის ინფორმაციით, სამხედროების საჩუქარი ირაკლი ღარიბაშვილს მთავრობის გუშინდელ სხდომაზე თავდაცვის მინისტრმა თინათინ ხიდაშელმა გადასცა.

ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საჩუქრის მიღება მისთვის დიდი პატივია. დროშას პრემიერი საკუთარ კაბინეტში განათავსებს.

ავღანეთში ქართული სამხედრო ბაზიდან ჩამოტანილი კიდევ ერთი დროშა საქართველოს პრეზიდენტს გადაეცემა, მესამე კი თავდაცვის სამინისტროში დარჩება.

# კობახიძე „რუსთავი 2“-ის, ანუ სიცრუის წინააღმდეგ

(პირველი გვერდიდან)

**– აპირებთ მიმართოთ სასამართლოს?**

– ვფიქრობ, რომ მივმართო სასამართლოსაც. ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობს ქვეყანაში ჟურნალისტური სტანდარტის ამაღლებას. როდესაც მედია მფლობელი აძლევს ასეთ ბინძურ შეკვეთას ჟურნალისტს, ვფიქრობ, ამ შემთხვევაში დასაცავია ჟურნალისტის უფლებებიც.

**– ბინძური შეკვეთის შესრულება ახსენებთ, თქვენ თვლით, რომ ჟურნალისტმა ეკა გაგუამ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელის, ნიკა გვარამიას დავალება შეასრულა?**

– ამ ტყუილის ავტორი იყო „ფრეშნიუსი“, რომელიც ავტომატურად გადმოიტანა „რუსთავი-2“-მა. რა თქმა უნდა, ვფიქრობ, რომ ეს არის შეთანხმებული მოქმედება. ასე, შემთხვევით არ ხდება, რომელიღაცა კერძო ინტერნეტ პორტალიდან ინფორმაციების გადმოტანა. ბუნებრივია, რომ ეს ხდება შეთანხმებით, რადგან ეს ადამიანები ერთსა და იმავე მიზნებს ემსახურებიან. „ფრეშნიუსის“ შესახებ ჩიორა თაქთაქიშვილმა ლამის ერთი საათი ისაუბრა საპარლამენტო სხდომაზე, მისი დიდი ლობისტი და დამცველი იყო.

ნიკა გვარამიას არ დაუმალავს თავისი დამოკიდებულება „ნაციონალურ მოძრაობასთან“, ერთ-ერთ გამოცემასთან საუბრისას დაადასტურა – ჩვენ არ ვმალავთ, რომ განსაკუთრებული სიმპათიები გვაქვს სწორედ ნაციონალური მოძრაობის მიმართ. გვარამია აცხადებს, – გარკვეულწილად ვართ მიკერძოებული და ძალიან ხშირად აზრებსაც ვეკითხებით ნაციონალებსო. ეს ინტერვიუც იმის დამადასტურებელია, რომ ნაციონალების დაკვეთილ დღის წესრიგს ავრცელებს „რუსთავი-2“.

ახლა, როცა თქვენ გესაუბრებით, ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ „რუსთავი-2“ ამზადებს ბინძურ სიუჟეტს, რომელიც ჩემს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ეხება. ჩემი ქონებრივი დეკლარაცია საჯაროა. როგორც ჩანს, ცდილობენ, დაადგინონ რაიმე კავშირი აქვს თუ არა ამ ქონების შეძენას ბიძინა ივანიშვილთან. იმუშაონ, მე არ მომბეზრდება მათ მიმართ საჩივრების წერა.



**– თქვენი მეუღლე არ მუშაობს კომპანია „ლუკოილში“?**

– არ მუშაობს და არც არასოდეს უმუშავია. არანაირი შეხება ამ კომპანიასთან არ ჰქონია. ამ კომპანიის დაარსების დღიდან იქ მუშაობს ჩემი მაზლი, რომელსაც თავისი ოჯახი აქვს და დამოუკიდებელი ადამიანია. როგორც გავარკვიე, ეს კომპანია ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის დროს იგებდა ყველა ტენდერს. უკაცრავად, მაგრამ თუ არ ეკუთვნოდათ, რატომ აძლევდნენ მაშინ? მეტსაც გეტყვით, ამ კომპანიაში მუშაობს ნაციონალი, ვანის მაჟორიტარი პაატა ლეჟავა და მისი მეუღლე, რომელიც ახლო კავშირშია ზურაბ ადეიშვილთან. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ნებისმიერ ცრუ ინფორმაციაზე მექნება მკაცრი რეაქცია. რამდენ სიყალბეს გაავრცელებენ, იმდენი საჩივარი იქნება და როგორია მათი სტანდარტი, ამას უკვე საზოგადოება შეაფასებს.

**ესაუბრა
თამთა ქარჩავა**

# რა გეგონათ, მიშას ბანდა გამართლდებოდა?

**7 ნოემბრისა და ტელეიმედში შეჭრის საქმე არსებით განხილვაზე გადადის. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მიხეილ სააკაშვილის ადვოკატმა ოთარ კახიძემ პროკურატურა და სასამართლო ურთიერთშეთანხმებაში დაადანაშაულა. მისი თქმით, მოსამართლემ წინასწარ იცოდა პროკურატურის პოზიცია.**

„სასამართლო პროცესი, რომელსაც ისედაც პოლიტიკური სარჩული აქვს, უკვე საცირკო წარმოდგენას დაემსგავსა, ვინაიდან მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილმა, როდესაც პროკურორი საუბრობდა, არანაირი ჩანაწერი არ გააკეთა თავისთვის, მაგრამ მომენტალურად, როგორც კი პროკურორმა გამოსვლა დაასრულა, წინასწარ გამზადებული განჩინება წაგვიკითხა. მასში ეწერა, რომ ბრალდების მხარემ დააზუსტა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული საკითხები. როგორც ჩანს, მოსამართლეს გული უგრძნობდა, რომ ბრალდება რაღაც საკითხებს დააზუსტებდა. ამ ყველაფერმა სრულიად კომიკური სახე მიიღო. არც კი ნიღბავენ იმას, რომ აბსოლუტურად შეთანხმებულად მოქმედებს სასამართლო და პროკურატურა. მოსამართლემ წინასწარ იცოდა რას იტყოდა ბრალდების მხარე, ეს უკვე სირცხვილია“, – განაცხადა ადვოკატმა.

პროკურორ ჯარჯი წიკლაურის თქმით კი, საქმეზე წარმოდგენილია მყარი მტკიცებულებები, რომელთა ერთობლივი ანალიზით დადასტურდება ბრალდებულთა დანაშაული.

მისი თქმით, ამას კიდევ ერთხელ ცხადყოფს სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილება.

აღნიშნულ საქმეში გაერთიანებულია 7 ნოემბრის აქციის დაშლის, „ტელეიმედში“ შეჭრის, ასევე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის და მთაწმინდის პარკის პატარკაციშვილების ოჯახისთვის ჩამორთმევის ეპიზოდები.

ამ საქმეზე ბრალდებულები არიან: მიხეილ სააკაშვილი, ზურაბ ადეიშვილი, გიგი უგულავა, დავით კეზერაშვილი და ვანო მერაბიშვილი. მათ ბრალად სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება ედებათ. საქმის არსებითი განხილვა 12 ივნისს დაიწყება.

შავი სამყარო

# ძალიან მალე საქართველოს კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობა შეაშფოთებს?!

**ბუტა რობაქიძის მამა სოსო რობაქიძე „რეპორტიორს“ სამართლიანობის აღდგენის, დამნაშავე რეჟიმის დასჯისა და გამოუძიებელი საქმეების ბოლომდე მიყვანის აუცილებლობაზე ესაუბრება.**



**– სამართლიანობის აღდგენას ბუტას მკვლელობის გახსნის შემდეგ, რომელი საქმით დაიწყებდით?**

– ვაზაგაშვილის და სანდრო გირგვლიანის საქმეებით! თუმცა, სამართლიანობის აღდგენას რეალურად დავიწყებდი რეჟიმის დასჯით!

**–კონკრეტულად?**

– სააკაშვილის, ადეიშვილისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირების დასჯით!

**– პირდაპირ გვითხრით, სახელებით და გვარებით – ვინ უნდა დაისაჯოს ბუტას მკვლელობისთვის?**

– ადეიშვილი და ოქრუაშვილი, პირველ რიგში! ღვინიაშვილი, მიქაძე, დონაძე და ფირცხალავა.

**– წინა ხელისუფლების დროს გაჩუმების სანაცვლოდ ფინანსური უზრუნველყოფა ვინმემ თუ შემოგთავაზათ?**

– იყო ასეთი შემთხვევა – ერთად შემოგვთავაზეს მე და ირინა ენუქიძეს. თუმცა, ჩვენ მაშინვე დავუსვით წერტილი ამ ამბავს. გავახმაურეთ პრესკონფერენციაზე!

**– როდის ან თუ იყო ეტაპი, როდესაც ამჯობინეთ გაჩუმება?**

– არასოდეს და არც გავჩუმდები! მაშინ ვჩუმდები, როცა გამოძიების ინტერესები უნდა დავიცვა და ამის გამო არ არის საჭირო საუბარი.

**– თქვენ თქვით – იური ვაზაგაშვილს ჰქონდა შეგრძნება, რომ მას უთვალთვალებდნენო. მსგავსი შემთხვევა თქვენც თუ გქონიათ?**

– მქონია და დღემდე მაქვს! ვიცი, რომ ძალიან მალე საქართველოში კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობა მოხდება. ვაზაგაშვილის მკვლელობის შემდეგ ეს ვთქვი და მეოთხე თვეს ხარძიანი მოკლეს.

**– ვინმე დაგყვებათ და გითვალთვალებთ?**

– ვფიქრობ, დამყვებიან. სადაც მივდივარ, სადაც ვჯდები, უცხო პირები მკითხულობენ. მაგალითად, ერთ-ერთ რესტორანში, პეტრიაშვილზე, ორჯერ მიკითხეს, როდის მოდის, როდის მიდის, რას აკეთებსო... ეკითხებიან, კიდევ როდის მოვაო? ხშირად კითხულობენ ჩემს მარშრუტს. არავინ იცის, ვინ არიან.

**– რატომ არ მიმართავთ საგამოძიებო უწყებებს, ან თუ ფიქრობთ, რომ დაცვა გესაჭიროებათ?**

– ურჩევნიათ, დაცვა იმან გამოიყოს, ვინც მე მებრძვის!

**– ბუტას საქმის შემდეგ, კიდევ რას ელოდებით ახალი ხელისუფლებისგან?**

– ამ ხელისუფლების მტერი არ ვარ. მადლობას ვეტყვი პოლიტიკოსებს, ვინც ბუტას საქმის გახსნის პროცესში იღებენ მონაწილეობას. ხიდაშელი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა. ველოდები, ჩატარდეს ობიექტური გამოძიება ყველა დანაშაულზე, ყველა დამნაშავის მიმართ. ველოდები, დაისაჯონ დამნაშავე რეჟიმის იდეოლოგები!



**ესაუბრა
ანა ნოდია**

ინფორმაცია

### ეკონომიკის სამინისტროს შენობა 6 მილიონ აშშ დოლარად იყიდება

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ჭანტურიას ქუჩა №12-ში მდებარე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შენობას 6 მილიონ აშშ დოლარად ყიდის.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ქონების მართვის სააგენტოს თავმჯდომარე ეკატერინე სისაურმა განაცხადა, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ აღნიშნული შენობა პირობიანი აუქციონის ფორმით გასაყიდად დღეს გაიტანა.**

**„აღნიშნული ქონება მდებარეობს დედაქალაქის ცენტრში ტურისტულად აქტიურ ზონაში. მისგან 300 მეტრის დაშორებით განთავსებულია კინოთეატრი, მუზეუმები. ნახევარი კილომეტრის რადიუსში მდებარეობს თბილისში განთავსებული მაღალი კლასის სასტუმროები. ასევე სხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობები“, – განაცხადა სისაურმა.**

**რაც შეეხება იმას, თუ სად გადავა ეკონომიკის სამინისტრო, ამ დრომდე უცნობი რჩება.**

# სავალუტო მაქინაციები „ფრთიანი ანგელოზების“ ქვეყანაში

**დეპუტატების თამაზ მეჭიაურისა და ნოდარ ებანოიძის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან გამოყოფას ითვალისწინებს, პარლამენტში უკვე შევიდა. პარლამენტის თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებით, საკითხის მიმართ ინტერესი დიდია და კოლეგებს მოუწოდა, საკანონმდებლო პაკეტის განხილვა ყველა დაინტერესებული მხარის მაქსიმალური ჩართვით განხორციელდეს.**



**რა შემთხვევაში შეიძლება აღმოჩნდეს ეფექტური ასეთი ცვლილება და ხომ არ არის უბრალოდ, ყურადღების გადატანის მცდელობა, რა ხდება ქართულ მონეტარულ პოლიტიკაში, ამის შესახებ ექსპერტი ლევან კალანდაძე გვესაუბრება.**

— ამ თემას უნდა შევხედოთ იმ კუთხით, თავად პარლამენტი რა საჭიროებას ასახელებს, ანუ ინიციატორები რისთვის აკეთებენ ამას. მათგან მოვისმინე ახსნა, რომ ქვეყნის საფინანსო სისტემაში არსებობს მაღალი რისკები სავალუტო სპეკულაციებისა, საზოგადოება არ არის დაზღვეული, რომ ეს რისკები მომავალში თავიდან იქნება აცილებული.

მინიმუმამდე რომ იყოს შემცირებული სპეკულაციური გარიგებები, ბოლომდე იქნას აცილებული ფარული გარიგებების კურსით მანიპულირების რისკები, ამისთვის საჭიროა ორი მიმართულება — ერთია ტრანსფარენტულობისა და საჯაროობის კომპონენტის გაზრდა, საბანკო ზედამხედველობის მონეტარული პოლიტიკის მიმართულებით და მეორე საკითხია გარკვეული, სახელისუფლებო, ანუ რეგულირების ვერტიკალის დივერსიფიცირება. ანუ, მხოლოდ ერთი სტრუქტურის ხელში არ იყოს მოქცეული მთელი ძალაუფლება და კონტროლის მექანიზმები.



ამის გათვალისწინებით, ეროვნული ბანკი იქნება ძირითადი პოლიტიკის შემქმნელი და განმსაზღვრელი, ხოლო საბანკო ზედამხედველობას (რომელიც უფრო ადმინისტრაციული ნაწილია), განახორციელებს ცალკე უწყება, რომელიც დაექვემდებარება ეროვნულ ბანკს (სიპი), მაგრამ იმავდროულად, ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტთან.

**— რამდენად ეფექტური იქნება ასეთი სტრუქტურა? ვგულისხმობ, რომ ეროვნულ ბანკს ისედაც გააჩნია ანგარიშვალდებულება პარლამენტის წინაშე...**

— მსოფლიოში არსებობს ძალიან ბევრი მოდელი, სადაც ეროვნული ბანკის ნიშნის ქვეშ არსებული ორივე ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტები წარმატებით მუშაობენ, მაგრამ არის სხვა მოდელის წარმატებული მუშაობის მაგალითებიც. მაგალითად, აშშ-ში გამიჯნულია მონეტარული პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელება და საბანკო ზედამხედველობა.

მთავარი ის არ არის, ეს ორი ფუნქცია ერთი სტრუქტურის ქვეშ იყოს თუ ცალ-ცალკე. პირველ რიგში, მთავარია პოლიტიკური ნება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია თავად ამ სისტემის ორგანიზებას რამდენად შედეგზე ორიენტირებულად უზრუნველყოფს საკანონმდებლო ორგანო, ანუ რამდენად სწორად დაიგეგმება როგორც სტრუქტურული, ასე ფუნქციონალური გადანაწილება და ანგარიშვალდებულების საკითხი.

ამავე დროს, ძალზე მნიშვნელოვანია თავად ამ სისტემის ქმედუნარიანობის და ეფექტიანობის სახელმწიფოებრივი კონტროლის სისტემა — ანუ რამდენად იქნება მობილიზებული და კონტროლზე ორიენტირებული თავად პარლამენტი. იმიტომ, რომ პარლამენტი არის ქვეყანში საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ორგანო და გარკვეული ზედამხედველობა ამ სტრუქტურებზე არის უკვე პარლამენტის ვალდებულება. ანუ, მხოლოდ ამ სტრუქტურების კარგ მუშაობაზე არ იქნება დამოკიდებული ეფექტურობა — პარლამენტის საქმიანობაც იქნება ამ საკითხის განსაზღვრელი

**— სავალუტო ფონდი ყოველგვარი რეორგანიზაციის გარეშეც კმაყოფილი იყო ეროვნული ბანკის მუშაობით, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის შიგნით მნიშვნელოვანი ფინანსური რყევები აღინიშნებოდა. ახლა კი, უცებ, უხეშად რომ ვთქვათ, ეროვნული ბანკის რეორგანიზება ხდება, რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?**

— ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემებს არც სავალუტო ფონდი უარყოფს და მასაც აქვს თავისი შეხედულებები იმ პრობლემებთან დაკავშირებით, რაც ქვეყანაში განვითარდა. წყარო იმ ავადობისა, რამაც ლართან დაკავშირებული პრობლემა გამოიწვია, განპირობებულია ძირითადად, საგარეო შოკებით, თუმცა, მეორე საკითხია, რამდენად ეფექტიანად ვიყენებთ ქვეყნის შიგნით მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისთვის იმ ინსტრუმენტებს, რაც გააჩნია ეროვნულ ბანკს.

მოკლევადიანი ინსტრუმენტები უშუალოდ მონეტარული ინსტრუმენტებია, საშუალოვადიანი უკავშირდება მთავრობის მუშაობის საკითხს. ორივე მიმართულებით გვაქვს გარკვეული პრობლემები. მონეტარული ინსტრუმენტები, რომელსაც ეროვნული ბანკი ფლობს, ნაკლებად ეფექტურად არის გამოყენებული და ეს პირდაპირ უნდა ვაღიაროთ.

არსებობს გარკვეული სავალუტო შოკები, რომლის ლოკალიზაცია და პრევენცია შესაძლებელია მონეტარული ინსტრუმენტებით (პანიკური და შოკური ეფექტის მოხსნის ფუნქცია გააჩნია) და ეს ყველაფერი ნაკლებად ეფექტურად იყო გამოყენებული.

ცალსახად არ ვამბობ, რომ რეზერვები უნდა გაგვეფლანგა, როგორც ეროვნული ბაკის პრეზიდენტმა თქვა, თითქოს ვიღაცები სავალუტო რეზერვების გაფლანგვას ითხოვენ. ეროვნულ ბანკს გააჩნია სხვა მონეტარული ინსტრუმენტი, რომლის ეფექტიანად გამოყენება მნიშვნელოვნად შეამცირებდა კურსით გამოწვეულ ნეგატიურ გავლენას საზოგადოებაზე.

**— მიუხედავად იმისა, რამდენი სუბიექტი და რა თანხით მონაწილეობს სავალუტო ვაჭრობებში, კურსი მხოლოდ ეროვნული და რამდენიმე ბანკის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შედეგად ხომ არ დგინდება? — არის კიდეც გარკვეული ეჭვები ამ თვალსაზრისით...**

— ეჭვები არის და მეც გამოვთქვამ ამ ეჭვს. არის რისკებიც, ამ მიმართულებით ვუსაყვედურე კიდეც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს — რატომ არ ისმის ამ მიმართულებით კითხვები? პარლამენტის ფუნქციაა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის მონიტორინგი. პარლამენტმა ნება უნდა იბოძოს და დროულად დასვას ეს კითხვები.

მეორე არის უკვე აღმასრულებელი ხელისუფლების კომპონენტი — რამდენი ხანია, ვსაუბრობთ ქამრების შემოჭერის პოლიტიკაზე?

— ამას არ ვუკავშირებ მშპ-ს მაჩვენებლის პროგნოზის შემცირებას, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ქამრების შემოჭერისა და აქტიური პრივატიზაციის პოლიტიკა, რომელიც ფუნდამენტური საკითხებია და მთავრობის პირველი ამოცანა უნდა იყოს, ვერ ხორციელდება, ამ მიმართულებით ვაგვიანებთ. თითქოს სწორად არის საკითხი დაყენებული, მაგრამ ამ დაგვიანებით ზარალდებიან ადამიანები, რომლებსაც კურსის ნეგატიური ტენდენციის გამო საგრძნობლად გაუძვირდათ ცხოვრება.

მესმის, რომ გარკვეული ანალიზი და მონიტორინგია საჭირო, მაგრამ მოქმედება განსაკუთრებით ეროვნული ბანკის მხრიდან ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ვისურვებდი, აღმასრულებელი ხელისუფლებაც უფრო შედეგზე ორიენტირებულად მუშაობდეს და დროულ გადაწყვეტილებებს იღებდეს.

...ეროვნული ბანკის პოლიტიკა არა მხოლოდ საბანკო სფეროს, არამედ საზოგადოების, ხელისუფლების და თითოეული მოქალაქის ინტერესებს უნდა იცავდეს. ჩვენ, თითქოს, რაღაც პარადოქსული სიტუაცია გვაქვს — ეროვნული ბანკი ბანკების ინტერესებს იცავს და საზოგადოების და სახელმწიფოს ინტერესები თითქოს მეორე-მესამე ხარისხოვანი ხდება.

**— პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე ვინ არის?**

— პასუხისმგებლობის საკითხი რომ გამოიკვეთოს, ჯერ ის უნდა გაირკვეს, კონკრეტულად რასთან გვაქვს საქმე. არაერთხელ მითქვამს — რაკი პარლამენტს ევალება ფინანსური მონიტორინგი, კეთილი ინებოს და დროულად გამოიკვლიოს, ყველა კითხვას გასცეს პასუხი და გვითხრას, რასთან გვაქვს საქმე, ვისი ბრალეულობის საკითხი იკვეთება.

ესაუბრა
**მარიამ თოდაძე**

◉ კაკალ გულში

## წერცეროლუჯანი ოერაზებრ

● **ნაციონალური მოძრაობიდან ბოლო ვინც გამოხვალთ, შუქის და გაზის გამორთვა არ დაგავიწყდეთ, კარი მაგრა გამოხურეთ, გასაღები ვენერა ბაბოს დაუტოვეთ!**




● **ხათუნა ლაგაზიძე, პირველად რომ დავინახე, საბავშვო ბაღის გამგე მეგონა და დღეს რომ დავინახე, მივხვდი, რომ პირველი შთაბეჭდილება უტყუარია.**

● **უჩა ნანუაშვილმა, სქესის შეცვლა უნდა გავამარტივოთო. ბატონო უჩა, გამარტივებულია! ეგ დიდი ხანია, უბრალოდ მტკივნეულია ძალიან... მე არ გირჩევთ!**

● **ლირიკული შენიშვნა პოლიტიკური ინფუზორიების გაყოფისა და აშშ-საქართველოს სამხედრო სწავლებისა თუ აღლუმის ფონზე:**

**„ბობოლა“ ნაცების ნაწილი იმდენად გათავხედდა (და ეს კარგად ჩანს ფეისბუქზე), რომ ყველა ქართველს, ვისაც არ სურს, ბრმად შეეწიროს ამერიკის პოლიტიკას, აცხადებს მოღალატედ, ანტიქართველად და მტრად.**

● **იმას იხვევენ კიდევ მეხსიერების „კაშნედ“ — სტალინი და ორჯონიკიძეო...**

**სტალინი და ორჯონიკიძე კი არა, ბიძინას უხადეთ მადლობები, რომ საერთოდ არსებობთ — თორემ კი იცით, რისი ღირსიც ხართ, რა დაიმსახურეთ და რა გელით იმ შემთხვევაში, თუ ამერიკა კავკასიიდან გაიძურწა.**

**მეც ვიცი, სხვათა შორის!**

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

◉ ალიან-ჩალიანი

## სადაზღვევო ორგანიზაციებს სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბება მოუწევთ

**სადაზღვევო სფეროში ამ და სხვა მიმართულებით საკანონმდებლო ნორმები იცვლება, რომელიც განსახილველად პარლამენტს უკვე წარედგინა. საკანონმდებლო ინიციატივა საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ თამაზ მეჭიაურმა და მისმა პირველმა მოადგილემ ნოდარ ებანოიძემ მოამზადეს.**

**„დაზღვევის შესახებ“ მოქმედი კანონის გათვალისწინებით, მზღვეველი შესაძლებელია არსებობდეს ორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სახით. პარლამენტში წარდგენილი პროექტის თანახმად კი, სადაზღვევო ორგანიზაციები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს მხოლოდ სააქციო საზოგადოების სახით. აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ახლად შექმნილ მზღვეველებზე კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო დღეს არსებულმა იმ მზღვეველებმა, რომელთა ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, აღნიშნული მოთხოვნა 2015 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დააკმაყოფილონ.**

**როგორც კანონპროექტის თანდართულ განმარტებით ბარათშია ნათქვამი, ცვლილების არსი საქართველო-ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.**

**გარდა ამისა, მოქმედი კანონის გათვალისწინებით, სადაზღვევო ორგანიზაცია ვალდებულია, კალენდარული წლის დასრულებიდან მომდევნო წლის 15 მაისამდე დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს გასული წლის წლიური აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება წარუდგინოს. კანონში დაგეგმილი ცვლილებები კი ითვალისწინებს, ანგარიშგების წარდგენას არა მომდევნო წლის 15 მაისამდე, არამედ 15 აპრილამდე. აღნიშნული ვადის შემცირების მიზეზები იმ გარემოებით არის ახსნილი, რომ მზღვეველი წლიურ ანგარიშს სამსახურს 20 თებერვლამდე აბარებს, ხოლო საგადასახადო სამსახურს — 1 აპრილამდე. როგორც ამასთან დაკავშირებით პროექტის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, ახალი ვადა საკმარისია იმისთვის, რომ მზღვეველმა ფინანსური ანგარიშგება დროულად წარადგინოს.**

**ინტერპრესი**



**„ქართული ოცნების“ მუშაობის ორი წელი, რომელიც 15 არასამთავრობო ორგანიზაციამ სხვადასხვა მიმართულებით შეაფასა, ვერ ვიტყვით, რომ დიდი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს. უარყოფითი მონაცემების გამომზეურების მოლოდინი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სინამდვილეში მოხდა. არასამთავრობოები, რომლებიც არაერთხელ უსიამოვნო კონტექსტში უხსენებია ბიძინა ივანიშვილს, თითქოს გაცილებით მწვავენი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ რატომღაც ასე არ მოხდა. მიზეზი მარტივია – დღეს გაცილებით უკეთესი დემოკრატიაა ქვეყანაში, ვიდრე ოდესმე ყოფილა მისი არსებობის მანძილზე! მესამე სექტორი უდიდეს გამოწვევად არაფორმალურ მმართველობას მიიჩნევს (ყველამ იცის, რომ ამ სიტყვების უკან ოლიგარქი ივანიშვილი დგას)... თუნდაც ასე რომ იყოს, მაშინ ისიც ვთქვათ, ამ არაფორმალურმა მმართველობამ გააფუჭა თუ არა დემოკრატიის ხარისხი?.. არასამთავრობოთა ანგარიშს თუ დავუჯერებთ – არა!!!**



# რა გააფუჭა ივანიშვილის „არაფორმალურმა მმართველობამ“?!

## „ოცნების“ მთავრობა მესამე სექტორს არც ამაში და არც სხვა რამეში არ ეთანხმება

## რა ითქვა კონფერენციაზე?

**ეკა გიგაური, ნონო ლომჯარია, ანა ნაცვლიშვილი, ზვიად დევდარიანი, კახა კოჟორიძე, ნაციონალთა გუნდიდან გიორგი ვაშაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი და კიდევ სხვანი... ეს გვარ-სახელები თავისთავად მეტყველებენ, თუ როგორი კრიტიკული დოზით უნდა წარმოჩენილიყო „ქართული ოცნების“ ორწლიანი ჯაფა. მაგრამ...**

**აი, რა არის მათი აზრით, ხელისუფლების მიღწევა:**

უფრო გამჭვირვალე გახდნენ სამინისტროები; გაუმჯობესდა მედიაგარემო, თანაც მნიშვნელოვნად; საგარეო პოლიტიკაში მიღწევებია ევროპასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით; გარკვეულწილად უკეთესობისკენ იცვლება კანონმდებლობა; ძირეული რეფორმები ხორციელდება პროკურატურასა და შსს-ში; მეტი ყურადღება ექცევა ადამიანის უფლებების დაცვას.

**და, გამოწვევა რა არის?**

**1. კონფრონტაციული ურთიერთობა პარლამენტში უმრავლესობასა და ოპოზიციას შორის...** მაგრამ, მას შემდეგ, რაც ნაციონალთა 9-წლიან მმართველობას უარი უთხრა ქართველმა ხალხმა, ეს პროცესი ერთგვარად ბუნებრივად აღსაქმელიც კი არის. **მეტიც! – ხალხის დაკვეთაა, რომ საერთოდ არ ჩანდეს ოპოზიცია (ნაციონალები) პარლამენტში, რადგან მათ ამის მორალური უფლება არა აქვთ.**

**2. ნაკლებად ეფექტიანია პარლამენტი აღმასრულებელი ხელისუფლების მონიტორინგთან დაკავშირებით. ოპოზიციის მოთხოვნებზე მინისტრები არ მოდიან...** ამაშიც სწორედ ზემოთქმული აზრი ფიგურირებს, რომ **ნაციონალებს არც ამის მორალური უფლება აქვთ.**




**3. უკრაინის მოვლენების ფონზე მთავრობა პასიურია...** მოდით, ამაზეც დიდხანს ნუ შევჩერდებით. კარგად ვნახეთ, რა „სარგებელი“ მოიტანა ყოფილი მთავრობის ჰიპერაქტიურობამ უკრაინაში წარსულში და ახლაც... კუდამოძუებული ნაციონალები იქიდან გამორბიან და ახალ თავშესაფარს ეძებენ... რუსეთთან კონფრონტაციამ კი ჩვენს ქვეყანას ტრაგედიის გარდა, სიკეთე ვერასოდეს მოუტანა.

**4. პროკურატურასა და შსს-ს ძირეული გარდაქმნა სჭირდება. აუცილებელია პოლიტიკური ავტონომიურობა.** შენიშვნა მიღებულია... ეს აქსიომაა! მაგრამ რასაც გარედან ვუყურებთ, ვერავინ იტყვის, რომ დღეს პოლიცია პოლიტიზებულია... მეტიც პოლიციელთა რიგებში საბოტაჟის მოსურნეები ჯერ კიდევ მრავლადაა... ამის გამო შეიძლება უსაყვედურო კიდეც მინისტრს, მაგრამ მას პოლიტიკური ამბიციები დასწამო, უსამართლობაა...

უკანასკნელი ორი წლის შეფასების ჭრილში ცალკე გამოიკვეთა ეკონომიკა. ეს არც თუ მარტივი თემაა: ბიზნესი, ფისკალური პოლიტიკა, ტურიზმი, ენერგეტიკა, ბალანსი, დისბალანსი, საგარეო და საშინაო ვაჭრობა, ლარის კურსის რყევები და ა. შ. ამ თემებზე ათასგვარი აზრი არსებობს, ექსპერტულ წრეებში თუ თავად სოციუმში. ხელისუფლების ქმედება ამ ასპექტში შეიძლება დაუღალავად აკრიტიკო კიდეც... თუმცა, თუ რომელიმე სფეროში აქტიურობს მთავრობა – ერთ-ერთი სწორედ ეკონომიკაა... მთელი რიგი გარდასახვა მოხდა სოფლის მეურნეობაში, ჯანდაცვაში, ენერგეტიკაში, ტურიზმის მიმართულებით...

**და მაინც...**

**ხელშესახები ცვლილებები საზოგადოებაში ჯერ არ ჩანს. თუკი ეს ყველაფერი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი, წინ მოლოდინის კიდევ ორი წელიწადია... თუ არადა... აუცილებლად სხვა არჩევანის გაკეთება მოუწევს ისთებლიშმენტს.**

## ვაჭარაძე უმადურია, მთავრობა – გატრუნული

**„იდენტობის“ ხელმძღვანელი ირაკლი ვაჭარაძე, არასამთავრობო „ლიბერალებს“ შორის, ისეთი რადიკალიზმით გამოირჩეოდა, რომ შეხვედრაზე მისულმა მთავრობის წარმომადგენლებმა ლამის თავები მორცხვად დახარეს.**

ერთ-ერთმა კი წამოიბურტყუნა, ბატონო ირაკლი, ძალადობა ყველასთვის ერთნაირად ძალადობაა, განურჩევლად უმცირესობისა თუ უმრავლესობისაო, მაგრამ ვაჭარაძის „ქოთქოთმა“ ეს ხმა ჩაახშო.

**„ადამიანის უფლებების თვალსაზრისით, ეს იყო გამოწვევებით სავსე ორი წელი,** – აღნიშნა ირაკლი ვაჭარაძემ, – **ამ ქვეყანაში, არავინ იცის, რა უნდა ვუყოთ ლგბტ საზოგადოებას. სექსუალური უმცირესობა მთავრობის სათანადო შეფასებას არ იმსახურებს. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას არანაირი წინსვლა არ მოყოლია. მართალია, ამ ხელისუფლების ხელში სრული დუმილის პოლიტიკა ჩაანაცვლა ღია დისკუსიებმა, მაგრამ ლგბტ თემის მიმართ მთავრობამ მხოლოდ მინიმალური სოლიდარობა გამოიჩინა“.**

იქ მყოფ ჩინოვნიკებს ვაჭარაძის მიმართ არც პროტესტი გამოუთქვამთ და არც მხარდაჭერა, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ ეს თემა სენსიტიურია. არათუ მთავრობა, საზოგადოების უდიდესი ნაწილი არ არის მზად მორალურად, ალიაროს „სოდომ-გომორის ცოდვა“, მიიღოს და გაითავისოს. უმცირესობის დიდი ძალისხმევის მიუხედავად, ალბათ, კიდევ დიდხანს მოუწევთ ლოდინი, აღმოჩნდნენ უმრავლესობაში. კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ისინი ყოველთვის უმცირესობის ნიშს იკავებდნენ და ალბათ, ასეც იქნება. რაც შეეხება თანაგრძნობას, მას ვერავის აიძულებ, ხოლო ძალადობა, როგორც ზემოთ ვახსენე, ყველა თემსა და ყველა წრეში ერთნაირად მიუღებელია!

ვაჭარაძემ ხელისუფლება ჰომოფობიური კანონების ლობირებაში დაადანაშაულა: **„საშიშ თამაშში ჩაერთო მთავრობა. ჰომოფობიურ რუსულ კანონებს პირდაპირ აკოპირებენ რადიკალური ჯგუფები, რაც მძიმედ დაარტყამს ქართულ დემოკრატიას... დიპლომატებს ეშინიათ, ღიად დაუჭირონ მხარი ლგბტ საზოგადოებას, რათა არ დაადანაშაულონ უმცირესობაში“.**

„შუღლის გაღვივების შესახებ“ კანონპროექტი, რომელზეც აქტიურად მუშაობს ხელისუფლება, „იდენტობის“ ხელმძღვანელს შირმა ჰგონია. **„ვინ გთხოვთ, ვინ გავალებთ, როდესაც სწორედ ლგბტ საზოგადოება არ გყავთ იქ მოხსენიებული? და როცა ეს ყველაზე დისკრიმინაციული თემი არ გიკვეთავთ ამ კანონის მიღებას?“** როგორც იქ ითქვა, „შუღლის გაღვივების შესახებ“ კანონპროექტს ლობირებს ეკლესია, რაც ცხადია, მიუღებელია „იდენტობისთვის“.

კონფერენციაზე საუბარი იყო ოჯახში ძალადობაზე, თუმცა, გამოიკვეთა უმნიშვნელოვანესი ასპექტი – ჯერჯერობით, ქვეყანაში არ არსებობს აღმასრულებელი მექანიზმი ადამიანის უფლებების დასაცავად. საკანონმდებლო რეგულაციები გზადაგზა აწესრიგებს ამ პროცესს, მაგრამ წინ კიდევ ბევრი პრობლემაა.

* * *

„ქართული ოცნების“ მმართველობის ორი წელი: არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასება“ 140 გვერდს მოიცავს. ვიდრე ანგარიში დღის სინათლეს იხილავდა, მას კულუარებშივე გაეცნო მთავრობა და თავისი კომენტარებიც დადო. 200-გვერდიან არგუმენტებში კი ხაზგასმით წერია, რომ: **„საქართველოს მთავრობა არ ეთანხმება ანგარიშში გამოთქმულ მთელ რიგ მოსაზრებებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში აკნინებს ან არასრულად ასახავს ახალი ხელისუფლების მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს და სხვადასხვა მიმართულებით მიმდინარე რეფორმების აქტიურ პროცესს. ვფიქრობთ, რომ ცალკეულ შემთხვევაში გამოთქმული მოსაზრებები არ არის სათანადოდ დასაბუთებული და არ ტოვებს ობიექტური რეალობის აღქმის შესაძლებლობას“.**

ვინ არის რეალურად ობიექტური – მთავრობა თუ მესამე სექტორი – მომავალი არჩევნები გამოაჩენს, მაგრამ... სამწუხაროდ, ხალხიც ხშირად ცდება...

**თეა მოსია**

### ალიან-ჩალიანი

## უგზოუკვლოდ დაკარგულთა მოძიების მიზნით კიდევ 11 სამარხი გაიხსნება

**როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა განაცხადა, შესაბამისი შეთანხმება გასულ კვირას სტამბულში აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზეა მიღწეული. შეხვედრაზე, რომელიც წითელი ჯვრის ორგანიზებით იმართება, აფხაზურ მხარეს პირველი ვიცე-პრემიერი წარმოადგენდა.**

**„ეს არის შეხვედრა, რომელიც წითელი ჯვრის ორგანიზებით ტარდება და მხოლოდ ჰუმანიტარულ საკითხებს**



**განიხილავს, კერძოდ ომში უგზო უკვლოდ დაკარგული მეომრების მოძიების, გადმოსვენებისა და გაცვლის საკითხებს. მოვილაპარაკეთ, რომ 11 ახალი სამარხი გაიხსნება, როგორც სოხუმის ტერიტორიაზე, ისე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე, 5 არის ენგურს გადმოღმა მხარეს, 6 სამარხი კი ენგურის გაღმა მხარეს. სავარაუდოდ, რამდენიმე ათეული ან უფრო მეტი იქნება გადმოსვენებული და მოხდება მათი იდენტიფიცირება“, – განაცხადა სოზარ სუბარმა. მისივე თქმით, დამატებითი დეტალების გახმაურებისგან ამ ეტაპზე თავს შეიკავებს და რამდენიმე თვეში საზოგადოებას პროცესის მიმდინარეობის შესახებ ბევრად მეტი ინფორმაცია ექნება.**

**ინტერპრესი**

◉ საგადასახადო კოდექსი

# ...შესამსუბუქებელი კიდევ ბევრია!

**სამყაროში უცვლელი მხოლოდ ბუნების კანონებია, თუმცა კაცობრიობამ ისეთი მაგალითებიც იცის, როცა ამ სამარადისო ნორმებიდან გარკვეული გამონაკლისის შემთხვევებიც ყოფილა. მეტიც: თვალის ერთი გადავლებით ურყევი კანონების სრულიად საპირისპირო ამოქმედების შესაძლებლობას თეორიაც უშვებს, მაგრამ ასეთი შემთხვევების ალბათობაც ნულოვან მნიშვნელობასთან ახლოა.**

აქედან გამომდინარე, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ნებისმიერ საზოგადოებრივ წყობაში, როგორიც გნებავთ მოწესრიგებულ-დავარცხნილი კანონი, ანდა რაღაც სფეროში დადგენილი კანონმდებლობა, დროდადრო იცვლებოდეს, გარკვეულ კორექტირებას, შექმნილ რეალობასთან მის შესატყვისობას საჭიროებდეს. და მაინც, ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებითაც კი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი ათწლეულების მანძილზე გამუდმებით იცვლება, მისი ახალი რედაქციები ყოველწლიურად გარკვეულ შესწორებებს, ზოგჯერ დანამატებსაც საჭიროებს. ეს, შესაძლოა, სხვა თვალთახედვით, ცუდიც არ არის და ჩვენი ფინანსისტ-ეკონომისტების ერთგვარ გონებრივ სისხარტეს მიანიშნებდეს კიდეც — აქაოდა, მოვლენათა ცვლის ჭავლს მიჰყვებიან და ბაზრის რხევებზე უმალ რეაგირებენო... ვინ იცის... მაგრამ, ფაქტი ფაქტად რჩება, რომ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ორნახევარ ათეულზე ოდნავ მეტი ხნის მანძილზე, მასში შესულ ცვლილებებსა და დამატებებს ძნელად თუ ვინმე დაითვლის.



ასეა ამ ჯერზეც: ცოტა ხნის წინათ ქვეყნის ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის სხდომაზე წარადგინა საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებათა პაკეტი. ფინანსთა სამინისტროში ამასთან დაკავშირებით განაცხადე,ს რომ აღნიშნულ ცვლილებათა მიზანია ბიზნესის ხელშეწყობისა და სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმების შექმნა.

თანაც, როგორც სამინისტროში აცხადებენ, ცვლილებათა გარკვეული ნაწილი ბიზნესის წარმომადგენლებთან კონსულტაციების შედეგად და მათ მიერ წარმოდგენილ წინადადებათა გათვალისწინებითაა მომზადებული. ასევე ხაზს უსვამენ იმასაც, რომ მთავრობაში კვლავაც გრძელდება შესაბამისი მუშაობა ახალ საკანონმდებლო ინიციატივებთან დაკავშირებით, რომელთა ერთიანი მიზანია ბიზნესში სამართლიანი და ეფექტიანი ადმინისტრირების დამკვიდრება. აღნიშნულ ცვლილებათა კანონპროექტი გარკვეული კატეგორიის გადასახადების გადამხდელთათვის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას ითვალისწინებს. კერძოდ: **ფიზიკური პირის მიერ მეორე ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი ფართის გაქირავების შედეგად მიღებული შემოსავალი, საშემოსავლო გადასახადის მხოლოდ 5-პროცენტიანი გადასახადით დაიბეგრება და არა 20-პროცენტიანით, როგორც ეს აქამდე იყო დადგენილი; ფიზიკური პირის მიერ საცხოვრებელი სახლისა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის, ასევე ავტომანქანის მიწოდების შედეგად მიღებული ნამეტი შემოსავალი 5-პროცენტიანი საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება და არა 20-პროცენტიანით, როგორც დღესდღეობით ხდება; არარეზიდენტისთვის გადახდილი როლიალტი** (გამოგონებების, პატენტების, ნოუ-ჰაუებისა და ა. შ. გამოყენებისთვის გადახდილი კომპენსაცია — ავტ.) **დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 5-პროცენტიანი განაკვეთით, ნაცვლად სადღეისოდ დადგენილი 10-პროცენტიანი საგადასახადო განაკვეთისა.**

წლების მანძილზე, საქართველოში მეორადი მოხმარების ავტოსატრანსპორტო საშუალებების იმპორტი ერთ-ერთი წარმატებული ბიზნესი იყო, თუმცა ბოლო დროს ამ საქმიანობას დიდი ზარალი მიაყენა უახლოეს სამეზობლოში, კერძოდ, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ასევე ყაზახეთში მიღებულმა გარკვეულმა შეზღუდვებმა, რის შესახებ მრავალჯერ გვქონია ლაპარაკი. ამჯერად, როგორც ჩანს, ქვეყნის მთავარ საფინანსო უწყებაში ამ საკითხს გარკვეული ყურადღება დაუთმეს.

— ჩვენ შევისწავლეთ ავტოიმპორტიორთა წინაშე წამოჭრილი პრობლემები, რომლებსაც, უმეტესწილად საგარეო ფაქტორების ზეგავლენით, რეექსპორტის მოცულობა შეუმცირდათ მეზობელ სომხეთსა და აზერბაიჯანში, ასევე ყაზახეთში, — განაცხადა ამასთან დაკავშირებით ფინანსთა მინისტრის მოადგილემ **ლაშა ხუციშვილმა**. — სწორედ ამიტომ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა განბაჟების ვადები გაგრძელებულიყო, გარდა ამისა, ჩამოგვეწერა ის ჯარიმები და საურავები, რომლებიც ავტოიმპორტიორებს იმის გამო აქვთ დარიცხული, რომ ავტომანქანები აქამდე დადგენილ ვადაში არ განაბაჟეს, — დასძინა ბატონმა ხუციშვილმა.

ამდენად, საგადასახადო კოდექსში კიდევ ერთი შესატანი ცვლილების შესაბამისად, **საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე 2015 წლის 1 აპრილამდე შემოტანილი მექანიკური სატრანსპორტო საშუალებების მფლობელი თავისუფლდება აღნიშნულ სატრანსპორტო საშუალებაზე საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გადასახადის თანხის გადაუხდელობისთვის, ასევე წარდგენის/გამოცხადების/ზოგადი დეკლარირების/დეკლარირების ვადის დარღვევისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ იგი 2015 წლის 1 სექტემბრამდე ამ მექანიკური სატრანსპორტო საშუალების წარდგენასა და გაფორმებას უზრუნველყოფს.**

ყოველივე ზემოაღნიშნულ ცვლილებასთან ერთად, ქვეყნის მთავარ საგადასახადო დოკუმენტში შესატანი ცვლილებების შესახებ კანონპროექტი ცალკეული საგადასახადო სანქციების შემსუბუქებასაც ითვალისწინებს. კერძოდ:

- **გადასახადის დადგენილ ვადაში გადაუხდელობისთვის არსებული საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,06-დან 0,05 პროცენტამდე შემცრდება;**
- **საგადასახადო ორგანოს მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დამატებით დაჯარიმდება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა საბაზრო ღირებულების არა 50 პროცენტით, როგორც ეს სადღეისოდაა დადგენილი, არამედ 10 პროცენტის ოდენობით. ამავე დროს, დანაკლისი განიხილება მისი აღმოჩენის მომენტში საბაზრო ფასად განხორციელებულ მიწოდებად;**
- **აღურიცხავი საქონლის გამოვლენისთვის სანქცია სადღეისოდ დადგენილი ნორმით მისი ღირებულების 100-დან 50 პროცენტამდე შემცირდება.**

აღნიშნული ცვლილებების პაკეტი განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება და ძალაში მისი დამტკიცების შემდეგ შევა.

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ კონფლიქტი



# გვამი განა ნემსია, თივის ზვინში დაიკარგოს!

## გასაიდუმლოვდება მშვიდობიან დროს რუსეთის სამხედრო დანაკარგები?

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომელიც ასაიდუმლოებს მშვიდობიან დროს ჩატარებული სპეცოპერაციებისას განცდილ სამხედრო დანაკარგებს.**

შესწორება, რომელიც შედის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის შესახებ 1995 წლის საპრეზიდენტო ბრძანებაში, 28 მაისს გამოქვეყნდა ოფიციალურ ვებგვერდზე.

ამ შესწორებამდე სახელმწიფო საიდუმლოებად ითვლებოდა ინფორმაცია რუსეთის არმიის მიერ მხოლოდ ომის დროს განცდილი დანაკარგების შესახებ.

ბრძანების თანახმად, ასევე გასაიდუმლოვდება ცნობები იმ პირთა შესახებ, რომლებსაც შეისწავლიან რუსეთის დაზვერვა, კონტრდაზვერვა და ოპერატიული სამსახურები, მათთან ფარული თანამშრომლობის დამყარების მიზნით.

უწინდელი კანონით, საიდუმლოდ ითვლებოდა ინფორმაცია მხოლოდ მათ შესახებ, ვინც უკვე ითანამშრომლა რუსეთის დაზვერვასთან.

შესწორებების ფონია ბრალდებები, რომ რუსეთის სამხედროები მონაწილეობენ შეტაკებებში უკრაინის ძალებსა და პრორუსულად განწყობილ სეპარატისტებს შორის აღმოსავლეთ უკრაინაში. მოსკოვი ამ ბრალდებებს უარყოფს.

რუსეთში აქტივისტები აცხადებენ, რომ უკრაინიდან რუსეთში უჩუმრად ჩამოაქვთ დაღუპული რუსი სამხედროების გვამები.

ამგვარი ცნობები გასულ კვირაშიც გავრცელდა — აქტივისტებმა განაცხადეს, რომ მიაკვლიეს სამი სამხედროს ახალ საფლავებს და რომ სამხედროები ეკუთვნოდნენ რუსეთის საგარეო სამხედრო დაზვერვის უწყების„„გრუს“, სპეცრაზმს, რომელიც მოსკოვიდან სამხრეთით, 400 კილომეტრის მოშორებით, ტამბოვშია დისლოცირებული. აქტივისტების ვარაუდით, სამხედროები, შესაძლოა, უკრაინაში დაიღუპნენ.

ამ ცნობების გავრცელებას ცოტა ხნით უსწრებდა უკრაინის ხელისუფლების მიერ ორი სამხედროს დაკავება, რომლებიც, უკრაინის თქმით, „გრუს“ ჯარისკაცები არიან და აღმოსავლეთ უკრაინაში მივლინების დროს შეტაკებებში დაიჭრნენ. 2014 წლის აპრილის შემდეგ კონფლიქტს აღმოსავლეთ უკრაინაში 6 200-ზე მეტი ადამიანი შეეწირა.

აქტივისტების მიერ ნაპოვნმა საფლავებმა ბიძგი მისცა განახლებულ დისკუსიას რუსეთის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში მასშტაბური სადაზვერვო ოპერაციების განხორციელების თაობაზე, მყიფე ზავის მოქმედების მიუხედავად.

რუსეთი უარყოფს ბრალდებას, რომ უკრაინაში სამხედროებს გზავნის და აცხადებს, რომ რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც სეპარატისტებთან იბრძვიან, მოხალისეები არიან და იქ საკუთარი გადაწყვეტილებით წავიდნენ.

მოსკოვის განცხადებით, უკრაინის შეიარაღებული ძალების მიერ დაკავებულმა ორმა სამხედრომ არმია დეკემბერში დატოვა, თუმცა, უკრაინის ოფიციალური პირების მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში ორივე დაკავებული ამბობს, რომ „გრუს“ მოქმედი ოფიცერია.

პრეზიდენტის ახალი ბრძანება უკანონოდ აცხადებს აქტივისტების მცდელობებს, მოიპოვონ ინფორმაცია უკრაინაში ან სხვაგან რუსეთის სამხედრო მოქმედებების შესახებ, თუკი ამ მოქმედებებს ოფიციალურად უწოდებენ „სპეცოპერაციას“.

მოსკოვში თებერვლის ბოლოს მოკლული ოპოზიციონერი ბორის ნემცოვი მუშაობდა ანგარიშზე, რომელიც აღმოსავლეთ უკრაინაში რუსეთის ჩართულობას ასახავს. ნემცოვის მკვლელობის შემდეგ, მიმდინარე თვეში, ანგარიში მისმა თანამებრძოლებმა გამოაქვეყნეს. დოკუმენტის თანახმად, აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე ბრძოლაში ამ დრომდე 200-ზე მეტი რუსი სამხედროა დაღუპული.

**რადიო „თავისუფლება“**

◉ ალიან-ჩალიანი

# დაიწყება ნარიყალის რესტავრაცია

**ნარიყალის ციხის სარესტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების განსახორციელებელი პროექტის შესარჩევად კონკურსი ცხადდება.**

**კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება თბილისის მერმა დავით ნარმანიამ ნარიყალის ციხეზე გააკეთა, სადაც კრწანისის რაიონის გამგებელ გიორგი კოპალეიშვილთან, რესტავრატორ ტარიელ კიპაროიძესთან, ასევე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურ დირექტორ ნიკა ანთიძესთან ერთად იმყოფებოდა.**

**არქიტექტორების განცხადებით, IV საუკუნის ციხესიმაგრე ფრაგმენტულად გასული საუკუნის 90-იან წლებშია აღდგენილი, თუმცა, მისი ახლანდელი მდგომარეობა მძიმე, ავარიული და საფრთხის შემცველია. არქიტექტორები აცხადებენ, რომ დანგრეულია სამხრეთ და დასავლეთ კედლებში მოქცეული კოშკები, აუცილებელი სარეაბილატაციო და პრევენციული ღონისძიებებია შესასრულებელი ნარიყალას თითქმის ყველა კედელ ბურჯზე.**



**კონკურსის შედეგად საპროექტო დოკუმენტაცია განისაზღვრება, როდესაც მოხდება ნარიყალის ციხის რეაბილიტაცია და კონსერვაცია. საკონკურსო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა 15 ივნისია.**

**როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკა ანთიძემ განაცხადა, ნარიყალის ციხის დათვალიერების დროს შეთანხმდნენ, რომ ადგილზე ჩამოყალიბდება მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია და ტურისტებს საშუალება ექნებათ, ციხის ისტორიას გაეცნონ არქეოლოგიური სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში.**

# პაულო კოელიო

# მაქთუბი

ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა



გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 89-97



სან-ხუან დე ლა კრუსი გვასწავლის, როს სულიერ მგზავრობას შევუდგებით, არცრა მოჩვენებანი არ უნდა ვეძიოთ და არც კიდევ იმათ სიტყვებს ვათხოვოთ ყური, ვინც უკვე ოდესღაც განვლო ეს გზაო.

ერთადერთი ჩვენი საყრდენი რწმენა უნდა იყოს, რამეთუ რწმენა არცრაში არ აგვარევინებს იმ ნათელსა და გამჭვირვალეს, რაიც ჩვენს შიგან ჩნდებაო.

მავანი მწერალი მღვდელს ელაპარაკებოდა და ჰკითხა, თუ გქონია შემთხვევა, რომ შენ გვერდით ღვთის არსებობა გიგრძნიაო.

– არ ვიცი, – მიუგო პადრემ. – დღესაქამომდე ღვთის მიმართ მხოლოდ ჩემი რწმენის არსებობას ვგრძნობდი.

და თავიდათავი ეს არის.

მოძღვარი უბნობს:

– მიტევება ორმხრივი მოძრაობის გზაა.

როს ვისმე მივუტევებთ, იმწუთას მივუტევებთ საკუთარ თავსაც. უკეთუ მოთმინებით, შეწყნარებით მოვეკიდებით სხვათა ცოდვებსა და შეცდომებს, უფრო ადვილად გადავიტანთ ჩვენს ყოველ მარცხსა და ხელის მოცარვას.

და მაშინ ცოდვა-ბრალსა და გულის ჯავრს განრიდებულნი ადვილად შევძლებთ ცხოვრების მიმართ ჩვენი დამოკიდებულების გაუმჯობესებას.

ხოლო როს – ჩვენი სისუსტისა გამო – ჩვენ გარშემო სიძულვილს, შურსა და შეუწყნარებლობას ვაჯეჯილებთ, ჩვენდა უნებურად, ბოლოს და ბოლოს, თავადვე ვნებდებით სიავესა და სიბოროტეს.

პეტრემ ჰკითხა ქრისტეს:

– მოძღვარო, მოყვასსა ჩემსა შვიდჯერ უნდა მივუტევო, არა?

– შვიდჯერ კი არა, შვიდ ათეულჯერ. მიტევების აქტი გვისუფთავებს ჩვენს წილ ასტრალურ ველს და გვივლენს ჭეშმარიტ ღვთაებრივ ნათელს.

მოძღვარი უბნობს:

– ძველთუძველეს დროში მოძღვარნი „პერსონაჟებს“ ქმნიდნენ, რათა დახმარებოდნენ თავიანთ მოწაფეთ პიროვნულ უკეთურ თვისებათა დაძლევაში. ამ პერსონაჟების შექმნასთან დაკავშირებული ბევრი ამბავი ცნობილ ჯადოსნურ ზღაპრებად იქცა.

პროცესი უბრალოა: საკმარისია, რომ სუყველა შენი წუხილი, შიში თუ იმედგაცრუება შენგან მარცხნივ მყოფ მავან უხილავ არსებაში მოაქციო. ის არსება იმოქმედებს და თვით იმ გადაწყვეტილებებს შემოგთავაზებს, რომელთაც, საბოლოო ანგარიშით, ალბათ, თავადაც მიიღებდი თუნდაც საკუთარი სინდისის წინააღმდეგ და საკუთარი რწმენისა თუ მრწამსის საპირისპიროდ. და თუ ამ გადაწყვეტილებებს ასეთი არამზადის ენა-პირით მოისმენთ, ბევრად გაგიადვილდება იმისგან ყურში ჩაწვეთებულზე უარის თქმაც და იმის მზაკვრულ რჩევათა უკუგდებაც. მართლაც, სულ უბრალო რამ ამბავია, ამიტომაც შეუფერხებლივ მოქმედებს.



მოძღვარმა მაგიდის გაკეთება ითხოვა და როს სამუშაო უკვე თითქმის დამთავრებული იყო – მარტო ლურსმნების ჩაჭედებაღა აკლდა – მაგიდის მკეთებელ მოწაფეს თავზე დაადგა. მოწაფემ ჩაქუჩის სამი ზუსტი დარტყმით სამი ლურსმანი ჩაარჭო.

მეოთხე ლურსმნის ჩაჭედება ბევრად ძნელი გამოდგა. სამი დარტყმა არ ეყო, მეოთხედაც დაარტყა, და ლურსმანი ისე ღრმად წავიდა, რომ ხე გასკდა.

– შენი ხელი მიჩვეულია სამ-სამ დარტყმას, – თქვა მოძღვარმა. – როს რაიმე მოქმედებას ჩვეულებით ვართმევთ თავს, ის აზრსა კარგავს და, ბოლოს და ბოლოს, იქნებ დაგვაზარალოს კიდეც.

მოქმედება მოქმედებაა და არის ოდენ ერთი მუღამი: თავს იმის ნება არ უნდა მივცეთ, რომ ჩვენს მოძრაობებს ჩვეულება განაგებდეს.

ესპანეთში, ქალაქ სორიას მახლობლად, კლდეში გამოკვეთილ სავანეში ცხოვრობს – უკვე კაიხანია – ერთი თავხელამარტო კაცი, რომელმაც ყველაფერი იმის გულისთვის დაავდო, რათა სულ მთლად ჭვრეტისთვის შეეძღვნა თავი.

ამ შემოდგომაზე, უკვე საღამო ხანს, ის მავანმა ლოცვადმავალმა მოინახულა, და მასპინძელი არაჩვეულებრივი გულითადობით დახვდა სტუმარს. პური რომ გატეხეს და ცოტა წაიხემსეს, მეუდაბნოემ სთხოვა, ქვევით მდინარეზე ჩავიდეთ და იმის ნაპირებზე საჭმელი სოკო მოვკრიფოთო.

გზად ჭაბუკი ვინმე შეხვდათ.

– წმინდაო მამაო, – მიმართა მან მეუდაბნოეს, – ამას წინათ ერთი ამბობდა, ვისაც უნდა, რომ გონებაგანათებული იყოს, ხორცი არ უნდა ჭამოსო. მართალია?

– ყველაფერი გემრიელად მიირთვი, რასაც ცხოვრება გიძღვნის, – მიუგო მეუდაბნოემ. – ნუ შესცოდებ სულის წინააღმდეგ, მაგრამ ნურც იმკრეხელებ, დედამიწის გულუხვ მადლს ნუ უარყოფ.

მოძღვარი უბნობს:

– უკეთუ გეჩვენება, რომ მეტისმეტად ძნელ გზაზე გიხდება სიარული, ვინძლო შენს გულს მიუგდო ყური. ვინძლო უკიდურესად პატიოსანი იყო საკუთარ თავთან და გულში განსაზღვრო შენთვის, მართლა იმ გზით მიდიხარ თუ არა, რომელ გზაზეც ყოველი გადადგმული ნაბიჯისთვის შენი ოცნებებით რომ გიხდება ანგარიშის გასწორება.

თუ ამის შემდეგაც ცხოვრება ძველებურად გაგაწვალებს და გატკენს გულს, უკვე შეგიძლია დაჩივლება. ოღონდ ისე დაიჩივლე, პატივისცემით, როგორც შვილი უჩივის მამას, რომლისგანაც მხოლოდ მეტ ყურადღებასა და დახმარებას ითხოვს, უფალი მამაც არის შენი და დედაც, დედ-მამა კი უცილობლად ყოვლის უფრო კარგს მოელის თავისი შვილისგან. თუკი ნამეტნავად გაჭიანურდა შენი სწავლის ამბავი, მაშინ სრული უფლება გაქვს, რომ დასულფონებაც მოითხოვო, სულის მოთქმა და ცოტა მოფერებაც.

მაგრამ ვინძლო არ გააზვიადო, არ გადააჭარბო. იობმა ჯეროვანი დრო შეარჩია საჩივლელად, და ყოველივე წართმეული უკან დაუბრუნდა, ხოლო ალ-ათიდმა თავის განუხრელ წესად აქცია განუწყვეტლივ ჩივილი და ყოვლად უზენაესი შეეშვა იმის ყურისგდებას.

ვალენსიაში ერთი ფრიად თავშესაქცევი ზნე-ჩვეულება აქვთ, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს წარმოქმნილი ხითხუროთა გილდიაში.

მხატვარნი და ოსტატნი მთელი წლის სიგრძეზე ვეება ხის აღალმათ აგებენ. სადღესასწაულო კვირა რომ დგება, იმათ დაბის მთავარ მოედანზე გამოაქვთ ისინი, ის აღალმანი. მოედანზე უამრავი ხალხი იყრის თავს, ათვალთვალებს მხატვარ-ოსტატთა ნახელკეთილარს, ყველა გაოცებული და აღელვებულია. ხოლო წმინდა იოანეს დღეს– ერთის გარდა – სუყველა აღალმას უზარმაზარ კოცონზე წვავენ, რომელ კოცონსაც ბუზიყლაპიათა და ალოღლეტიათა ჯარი ახვევია გარშემო.

– რამდენი შრომაა ჩაყრილი, და ყველაფერი ბოლად მიდის ჰაერში. რა ხდება? – იკითხა ერთმა ინგლისელმა ქალმა, რომელიც თვალს არ აცილებდა ცისკენ აჭრილ ცეცხლის წითელ მამალს.

– შენც ოდესმე მოკვდები, – უთხრა ერთ-ერთმა ადგილობრივმა მანდილოსანმა. – და შენ წარმოიდგინე, რომ შენი სიკვდილის შემსწრე რომელიმე ანგელოზთაგანი უთუოდ ჰკითხავს გამჩენს: „ამდენი შრომაა ჩაყრილი სულ ამაოდ, რა ხდება?“

ერთმა ფრიად მართალმორწმუნე და ღვთისმოსავმა კაცმა ერთბაშად დაკარგა მთელი თავისი ავლადიდება. და იმის იმედით, რომ ღმერთი უსიკვდილოდ აღუპყრობდა ხელს, ლოცვად დადგა:

– ლატარიაში მაინც მომაგებინე რამე, უფალო!

იდგა და წლითიწლობამდე ლიტონი სიტყვით ღმერთს შემწედ მოუწოდებდა, მაგრამ იმის სიღატაკეს საშველი არ დაადგა.

ერთხელაც დღე გაუშავდა, გაღმა სოფელში გააბიჯა და, როგორც ალალმართალი კაცი, პირდაპირ სამოთხის კარიბჭესთან დაემჭვიტა.

მაგრამ შესვლაზე უარი თქვა. მთელი ცხოვრება არცრა მცნება არ დამირღვევია, რასაც მასწავლიდნენ და მიქადაგებდნენ, ზუსტად ისე ვიცხოვრე, ღმერთმა კი ლატარიაშიც არა მომაგებინა რაო, წუწუნებდა სამოთხის კარიბჭესთან დამჭვიტული.

ბოლოს გამწარებული აღრიალდა:

–დაპირებით ბევრს მპირდებოდი, მაგრამ არაფერი არ შემისრულე, რა მოხდებოდა, რომ შემწეოდი!

–შეგეწეოდი, როგორ არ შეგეწეოდი! – მიუთხრო ღმერთმა. – მაგრამ ერთხელ მაინც გეყიდა ლატარიის ბილეთი, შე კარგო ადამიანო!

მიმცხოვნებული ჩინელი ბრძენი დათოვლილ მინდორში მიდიოდა და სად იყო, სად არა, მტირალი ქალი მოიხილა.

– რა გატირებს? – ჰკითხა მან ქალს.

– რა მატირებს და წარსული წამომაგონდა, გამახსენდა ახლა დამჭკნარი ჩემი ძველი სილამაზე, თვალწინ დამიდგნენ ის კაცები, ვინც კი ოდესმე მყვარებია. ღმერთი სასტიკად მოგვექცა, როცა ადამიანებს მეხსიერება მოგვიბოძა. იმან, ეტყობა, იცოდა, რომ ერთხელაც გავიხსენებდი ჩემი ცხოვრების გაზაფხულს და ავტირდებოდი.

ბრძენი თვალგაშტერებული მისჩერებოდა ერთ უძრავ წერტილს, დათოვლილ დუზ მინდორს უმზერდა.

ქალმა კი უცებ შეწყვიტა ტირილი და ჰკითხა:

– რასა ხედავ იქ?

– რასა და გაფურჩქნილ ვარდებს, – მიუგო ბრძენმა. – ღმერთი დიდსულოვანია და მეხსიერება იმიტომ მომიბოძა. როგორც ჩანს, უწყოდა, რომ ზამთრობით ყოველთვის შევძლებდი გაზაფხულის გახსენებას და გავიღიმებდი.

მოძღვარი უბნობს:

– საკუთარი გზა-სავალი არც ისეთი უბრალო რამ არის, როგორც გვგონია. პირიქით, იმას ათასი რამ გარკვეული ხიფათის თავს დატეხა ძალუძს. როცა რასმე ვესწრაფვით და რაღაც გვინდა, ეგრევე ძალთაძალ ენერგიას ავამოქმედებთ ხოლმე და უკვე აღარ გამოგვდის ჩვენი ცხოვრების ჭეშმარიტი აზრის ჩვენგანვე დამალვა.

საკუთარი ოცნების კვალდაკვალ ადევნებულ გზას თავისი ფასი აქვს. ეგება გამოთხოვებაც მოგვიხდეს რომელიმე ძვალ-რბილში გამჯდარ გატაცებასთან და რჯულზე უმტკიცეს ჩვეულებასთან, ადვილი შესაძლებელია, რომ მრავალგვარი სიძნელეც გადაგვეღობოს ანდა სულაც უმწარესი იმედგაცრუება მოგველის.



მაგრამ რაც არ უნდა მაღალი იყოს ეს ფასი, ის მუდამ იმაზე დაბალი იქნება, რომლის გადახდაც იმათ უწევთ, ვინც თავის გზა-სავალს არ არის ადევნებული. რამეთუ ისინი ოდესმე უკან მოიხედავენ, ყოველივეს მოიხილავენ, თუკი რამ ცხოვრებაში უქმნიათ, და საკუთარი გულის ხმას გაიგონებენ: „სულ ტყუილად მიცხოვარია!“

და მერწმუნეთ, საეჭვოა, რომ ქვეყნად კიდევ უფრო მეტად საშინელი სიტყვები იყოს, ვიდრე ეს სიტყვებია.

Kასტანედა ერთ-ერთ თავის წიგნში ჰყვება, ერთხელ ჩემმა მოძღვარმა მიბრძანასავით, ეგ შენი აბზინდიანი ქამარი შარვალზე მეორე მხრიდან შემოირტყი და ისე შეიკარიო და არა ისე, როგორც ჩვეულებრივ ირტყამ და იკრავ ხოლმეო.

კასტანედა დაემორჩილა, რადგან დარწმუნებული იყო, როგორც ჩანს, მოძღვარი მბრძანებლობისა და ძალის რაღაც ძლიერი იარაღის ხმარებას მასწავლისო.

რამდენიმე თვის შემდეგ მან მოძღვარს აუწყა, ამ მაგიური ილეთის წყალობით ყოველსავე აუცილებელს ბევრად მალე უფრო ვითვისებ, ვიდრე ადრე ვითვისებდიო.

— ქამრის ბალთას მარცხენა ხელით კი არა, მარჯვენათი რომ ვიკრავ, ნეგატიურ ენერგიას პოზიტიურად გარდავქმნი.

მოძღვარმა კი ამ სიტყვების პასუხად გადაიხარხარა.

— ქამრები და ბალთები ენერგიას სახეს არ უცვლიან. ქამრის მეორე მხრიდან შემორტყმა მხოლოდ იმიტომ გთხოვე, რათა შარვლის ჩაცმის დროს ყოველთვის გაგხსენებოდა, რომ სწავლებას გადიხარ. და სწორედ ამის შეგნება, და სულაც არა ქამარი, დაგეხმარა ზრდაში.

Eრთ მოძღვარს ძალზე ბევრი მოწაფე ჰყავდა. და გარკვეულ დროს ყველანი ერთად ლოცულობდნენ — ყველანი, ერთის გარდა, რომელიც ნიადაგ მთვრალი იყო.

და სიკვდილის წინ მოძღვარმა სწორედ იმას გაანდო ფარული ოკულტური საიდუმლოებანი.

დანარჩენები, ცხადია, აღშფოთდნენ.

— თავი მოგვჭრა! — ამბობდნენ ისინი. — აფსუს, რა მსხვერპლი შევწირეთ ამ ჩვენს ყოვლად უმაქნის მოძღვარს, რომელმაც ვერც ერთი ჩვენგანის ნიჭი და უნარი ვერ დაინახა!

მოძღვარმა კი აგრე უპასუხა:

— ეს საიდუმლოებანი ჩემთვის კარგად ნაცნობი კაცისთვის უნდა გამემჟღავნებინა. ისინი, ვინც ბეჯითი და გულმოდგინეა, ჩვეულებრივ რაღაც მანკს მალავენ — სიამაყეს, პატივმოყვარეობას, შეუწყნარებლობას, ამიტომაც გამჯობინეთ ყველას ერთადერთი კაცი, ვისი სუსტი მხარეც — სასმლის სიყვარული — აშკარაა.



Mღვდელი მარკოს გარსია ირწმუნება: „უფალი ხანჟამისად მადლს მიხდის ხოლმე ადამიანს, რათა მადლმიხდილს ისე გაეგებინოს და შეეცნობინოს, რომ იმან არც არაფერი აღარ ითხოვოს იმისაგან და არც კიდევ რამე წყალობის მიღების გენცი, ანუ სასო იქონიოს.

მაგრამ უფალმა მიწყივ უწყის, რა ზღვრამდე შეიძლება ადამიანის სულის გამოცდა — და არცროდის იმ ზღვარს არ გადააბიჯებს.

და მადლმიხდილი ნუ იტყვი: „უფალმა დამიტევა მე“. ეს შეუძლებელია, დატევებით ხანისად. ჩვენ დავუტევებთ ხოლმე იმას. უკეთუ უფალი გვცდის, უცილობლად მადლსაც მოგვიბოძებს, თანაც საკმარისად — ის კი არა, საკმარისზე მეტსაც-მეთქი, ვიტყვი — რათა ამ გამოცდას გავუძლოთ.

როს ზოგჯერ ვერ ვგრძნობთ იმის ყოფნას ჩვენ გვერდით, ვერ ვხედავთ იმის ხატებას, უნდა თავს დავეკითხოთ: „შევძელით თუ არა იმით სარგებლობა, რაც იმან ჩვენს გზაზე დაგვიყენა?“

ხან ისე მისდევს დღე დღეს ან სულაც კვირა — კვირას, რომ მოყვასისგან არ ვიღებთ არცრა კეთილგანწყობილების ნიშანს რასმე ანდა მოსაფერებელ სიტყვას.

ხოლო როს ადამიანური სითბო იშრიტება, ძნელი ჟამი ჩამოდგება ხოლმე და გადარჩენაღა ხდება სიცოცხლის მთავარი გამსავათებელი საზრუნავი.

Mოძღვარი უბნობს:

— ყოველი ჩვენგანი უნდა ვსწავლობდეთ ჩვენ-ჩვენ საკუთარ ყვერბ-კერიას. რაც შეიძლება მეტი შეშა უნდა შევუკეთოთ და შევეცადოთ ბნელი ოთახის განათებას — მაშინ ცხოვრება ისე შეგვეცვლება, რომ ვეღარ ვიცნობთ. როს გვესმის, რა ტკაცატკუცი გაუდით მუგუზალთ ცეცხლში, თან თითქოს რაღაც ამბავს რომ გვიყვებიან, სასოწარკვეთილთ იმედი გვიბრუნდება.

უკეთუ სხვათა სიყვარული შეგვიძლია, მაშასადამე, იმასაც შევძლებთ, რომ სხვათაც ვუყვარდეთ. ეს მხოლოდ დროის საკითხია.

Vახშმობისას ერთ-ერთმა სტუმარმა სასმისი გატეხა.

— სასმისის გატეხა კარგია, ბედნიერება იცის, — ერთმანეთს



ლაპარაკს არ აცლიდნენ დანარჩენი სუფრის წევრები. — ნამდვილად კარგის ნიშანია.

— მაინც რატომ არის კარგის ნიშანი? — იკითხა რაბინმა.

— არ ვიცი, — თქვა ლოცვადმავალის ცოლმა. — იქნებ ეს სულაც ძველი რამ ხერხია, რომ ხელმარცხინამა სტუმარმა თავი უხერხულად არ იგრძნოს.

— არა, ეგ ახსნა არ არის, — შენიშნა რაბინმა. — იუდეველთა ლეგენდისდა მიხედვით, თითოეულ ადამიანზე ბედნიერების გარკვეული რამ წილია გამოყოფილი, რომელსაც ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ხარჯავს. იმას შეუძლია, რომ ის თავისი წილი ამაოდ გაფლანგოს, შეუძლია აგრეთვე, რომ კარგა გვარიანად გაზარდოს — იმ პირობით, თუ მხოლოდ იმისთვის გამოიყენებს, რაც მართლა თავად სწადს.

როცა რამე გაგვიტყდება, ჩვენც, იუდეველებიც, ვამბობთ —„კარგის ნიშანიაო“. ოღონდ ჩვენი გაგებით ეს ნიშნავს: რა კარგია, რომ შენი ბედნიერების წილი არ გაფლანგე, იმისთვის არ გამოიყენე, რომ ეს სასმისი არ გატეხილიყო. ახლა კიდევ უფრო ბევრად მნიშვნელოვანი რამისთვის შეგიძლია იმისი გამოყენება.

Mონასტრის წინამძღვარმა მამა აბრამმა შეიტყო, რომ სავანის ახლომახლო ცხოვრობდა ერთი მთელ დედამიწის ზურგზე თავისი სიბრძნით სახელხმიანი განდეგილი.

მან მოძებნა იგი და შეეკითხა:

— დღეს შენს ლოგინში ვინმე ლამაზმანი რომ მოგეხილა, შეიძლებდი იმის ფიქრს, არა ეს დიაცი არ არისო?

— ვერა, — მიუგო ბრძენმა განდეგილმა, — მაგრამ თავს დავიჭერდი და ხელს არ დავაკარებდი.

— სადმე უდაბნოში მთელი გროვა ოქროს ფული რომ გენახა, — არ ეშვებოდა აბატი, — შეიძლებდი, რომ როგორც უბრალო ქვებისთვის, ისე შეგეხედა?

— ვერა, მაგრამ თავს შევიკავებდი და არ შევეხებოდი.

— თუ ორი ძმა დაგიწყებდა ძებნას, რომელთაგან ერთს ეჯავრებოდი, ხოლო მეორეს ეყვარებოდი, შეიძლებდი დასკვნის გამოტანას, ორივენი, ერთნაირები არიანო, — კითხვებს არ ილევდა აბატი.

— ეგ ჩემთვის ძალიან ძნელი იქნებოდა, — მიუგო განდეგილმა, — მაგრამ ერთსაც ზუსტად ისევე მოვექცეოდი, როგორც მეორეს.

— ახლა აგიხსნით, ვინც არის ბრძენკაცი, — თქვა მონასტერში მიბრუნებულმა მამა აბრამმა. — ეს ის კაცია, ვინც ვნებებს არ გაურბის, მაგრამ იმათი ალაგმვა ძალუძს.

Fრეზერი მთელი ცხოვრება ველური დასავლეთის დამორჩილებაზე წერდა. ის დიდად ამაყობდა, რომ იმის „ნამსახურობის ნუსხაში“ იმ ფილმის სცენარიც ირიცხებოდა, რომელ ფილმშიც მთავარი როლი ჰარი კუპერმა ითამაშა, იქ იმასაც წერს, რომ ძალიან იშვიათად ბრაზდებოდა და გულიც რამეზე იშვიათად ეთანაღრებოდა.



— უზომოდ ბევრი რამ ვისწავლე ამერიკელ პიონერთაგან, — ამბობს იგი. — ისინი ებრძოდნენ ინდიელებს, ფეხქვეშ ჰქონდათ გადებული უდაბნოები, მოინაგრებდნენ წყალსა და საზრდოს.

და ყველა დოკუმენტური მოწმობა ნათელს ხდის ფრიად საგულისყურო გარემოებას: პიონერები წერდნენ ან ლაპარაკობდნენ მხოლოდ და მხოლოდ კარგზე. იმის მაგივრად, რომ ეწუწუნათ, ისინი თხზავდნენ სიმღერებს ანდა აქილიკებდნენ თავიანთსავე უსიამოვნო რამ თავგადასავალსა და ცხოვრების გზაზე შეხვედრილ სიძნელეს რასმე. ამის წყალობით კი თავიდან იშორებდნენ სევდასაც და უგუნებობასაც. და დღეს, როცა 88 წლისა ვარ, სულ იმას ვცდილობ, რომ იმათი ცხოვრების წესი გავიმაგალითო.

Qრისტიანობის ერთ-ერთი უწმინდესი სიმბოლო ვარხვის გამოსახულებაა.

და სავსებით გასაგებია რატომაც: საზრდოს უქონლობის ჟამს ეს ფრინველი ნისკარტით მკერდს იფატრავს და თავისი ხორცით კვებავს ბარტყებს.

Mოძღვარი უბნობს:

— ძალიან ხშირად ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით ხოლმე, რომ ვერ შეგვიცნია ზეგარდმო მოვლენილი მადლი. არცთუ იშვიათად არ გვესმის, რასა იქმს გამჩენი იმის გულისთვის, რათა სულიერი წყურვილი მოგვიკლას.

აქ ერთი ვარხვის ამბავი მახსენდება ჯერ კიდევ ძველად თქმული. ბარტყები თავისი ხორცით რომ დააძღო, ამ თავგანწირვის მერმე ვარხვმა სულ რამდენიმე დღეღა იცოცხლა.

ბოლოს როს სული განუტევა, ერთ-ერთმა ბარტყმა მეორეს უთხრა:

— იქნებ ეს კარგიც იყოს... რამდენ ხანს შეიძლება სულ ერთი და იგივეს ჭამა ყოველდღე?!



Uკეთუ რაღაცით უკმაყოფილო ხარ — ამ „რაღაცით“ იმ კარგ რასმე ვგულისხმობ, რაც გესურვილება, მაგრამ ვერა და ვერ შეგისხამს ხორცი— გაჩერდი.

უკეთუ საქმე საქმეზე არ მოგდის, ორი ახსნაა შესაძლებელი. ან შენი შეუპოვრობა იცდება, ან მიმართულების შეცვლა გმართებს.

იმის გასარკვევად, თუ რომელია ამ ორი საპირისპირო ვარიანტიდან შენი, მდუმარება და ლოცვა გამოიყენე. და ნელნელა ყოველივე საიდუმლო სიცხადის შეძენას დაიწყებს და მანამ გაგრძელდება ეს სიცხადის შეძენა, სანამ რომელიმე ვარიანტზე არჩევანს არ მიიტან.

ოღონდ, როგორც კი ერთ ვარიანტს აირჩევ, იმწუთასვე დაივიწყე მეორე და დაიძარი წინ, იმიტომ, რომ ღმერთი გულოვანთ შეეწევა.

Dომინგო საბინომ ერთხელ როგორღაც თქვა:

— ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი კარგად იქნება. ხოლო ჯერჯერობით თუ კარგად ვერ არის, მაშასადამე, უბრალოდ ბოლოში კიდევ არ გასულხარ.

Kომპოზიტორი ნელსონ მოტა ბაიის შტატში მოხვდა და გადაწყვიტა, რომ მენინია-დო-განტოისის* დედა მოენახულებინა.

ტაქსი იქირავა, მაგრამ ავტოსტრადაზე დიდი სიჩქარით რომ მიდიოდნენ, მანქანას მუხრუჭმა უმტყუნა. საბედნიეროდ, არც მძღოლი და არც მგზავრი არ დაშავებულან, ერთი ეგ იყო, ცოტა შეშინდნენ.



მენინიას დედას რომ შეხვდა, კომპოზიტორმა, რასაკვირველია, უწინარესად გზაზე თავს გადახდენილი ამბავი უთხრა.

— არის ამქვეყნად ისეთი რამ, რაც წინასწარვე განსაზღვრულია და ყველას შუბლზე გვაწერია, თუმცა, ღმერთს ძალუძს, რომ დაუზიანებლად გაგვატაროს ამ ბედისწერის გზაზე. შენი ცხოვრების გზასავალის ამ მონაკვეთზე უცილოდ ავარიაში მოხვედრა გეწერა. მაგრამ, როგორც ხედავ, თან მოხდა მოსახდენი და თან არც არაფერი არ მომხდარა.

— Sანტიაგოს გზაზე რაც გვიამბეთ, მაგ ამბავს რაღაც აკლია, — უთხრა ლოცვადმავალმა ქალმა ლექციის წამკითხველ ლოცვადმავალს. — შემჩნეული მაქვს, რომ ლოცვადმავალთა უმრავლესობა სანტიაგოს გზას მიუყვება თუ ცხოვრების გზასავალს, მუდამ საერთო რიტმით მოძრაობას ცდილობს.

ლოცვადმავლობას რომ ვიწყებდი, მეც გზას დამწყემსებულთა ახლოისად სიარულს ვცდილობდი. საშინლად ვიქანცებოდი, ჩემს სხეულს იმაზე მეტსა ვთხოვდი, რისი ატანაც შეეძლო, სულ დაძაბული ვიყავი, ბოლოს და ბოლოს კი, მარცხენა ფეხი ისე გადავიყვლიფე, სიარული გამიჭირდა.

და ამის შემდეგ, უკვე საბოლოოდ ილაჯგაწყვეტილი, მივხვდი, რომ სანტიაგოს გზის ბოლომდე გავლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებდი, უკეთუ ჩემს საკუთარ რიტმს დავემორჩილებოდი.

ნაბიჯი შევანელე, სხვებს ფეხდაფეხ აღარ მივდევდი, მარტო მივდიოდი, მაგრამ ჩემი გასავლელი გზა მხოლოდ იმიტომ გავიარე, რაკი ჩემს რიტმს ვიცავდი.

იმიერიდან ამ წესს ყოველთვის ვიყენებ, რასაც არ უნდა ვიქმოდე ცხოვრებაში.

(გაგრძელება იქნება)

---

* ლაპარაკია ე.წ. „წმინდანის დედაზე“ — ქურუმ ქალზე, რომელიც აფრო-ბრაზილიურ კულტზე (კანდომბლე) მზრუნველთ უდგას სათავეში.



23-ე ბაგა-ბაღის აღსაზრდელები

# ბავშვობის დაუვიწყარი დღესასწაული

(პირველი გვერდიდან) თბილისის რამდენიმე ბაღს ვესტუმრეთ საზეიმო ღონისძიებებზე. გახარებული პატარები სიხარულს ვერ მალავენ — მათ ხომ აღმზრდელ პედაგოგებს, მშობლებს,ბებია-ბაბუებს უნდა ჩააბარონ ანგარიში, რა შეითვისეს თავიანთი საყვარელი მასწავლებლებისგან. ზოგიერთი მათგანი მომავალ წელსაც თავიანთ ბაღებს მიუბრუნდებიან, ზოგისთვის კი ეს ბოლო ზეიმია ბაღში და ცხოვრების ახალ ბილიკებს გაუყვებიან სიბრძნის სამყაროში — სექტემბერში ისინი სკოლის მერხებს მიუსხდებიან.

თბილისის 23-ე საბავშვო ბაღში ყოველთვის განსაკუთრებით აღნიშნავენ ამ დღეს. პატარებს განსაკუთრებულად მორთული დახვდათ თავიანთი ბაღის ეზო, ამაზე კი ბაღის დირექტორმა **მეგი ხითარიშვილმა,** აღმზრდელებმა **იზო მელაძემ, ნანა ბაშარულმა, ხატია ახალმოსულიშვილმა,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორმა **რუსუდან რატიანმა** იზრუნეს. მხიარული სტარტები, სახალისო შეჯიბრებები, ცეკვა, ლექსი და სიმღერა ცვლიდა ერთმანეთს. პატარები ზეიმით აღნიშნავდნენ ბავშვთა დღეს. ბაღის ხელმძღვანელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათი თავდადებული შრომით აღსაზრდელებისათვის ყოველ დღე დღესასწაულადაა ქცეული. ამ გარჯასა და თავდადებას აფასებენ პატარების მშობლებიც, რომლებიც დიდად ემადლიერებიან აღმზრდელებს, რადგან კარგად ხედავენ რომ თავიანთი შვილები ჯანმრთელები, ზრდილობიანები და შრომისმოყვარენი იზრდებიან.

* * *

თბილისის მე-80 ბაგა-ბაღი თემქაზე მდებარეობს. აქ გამოსაშვებ საღამოს დავესწარით. პატარები სექტემბრიდან სკოლის მერხებს მიუსხდებიან. გული წყდებათ, რომ თავიანთ აღმზრდელს ქალბატონ **ლელა ბლიაძეს** და ბაღს ემშვიდობებიან, აქ ხომ სამი წელი გაატარეს პატარებმა, უამრავი ლექსი, სიმღერა შეისწავლეს. ზოგიერთმა წერა-კითხვაც იცის და უმეტესობამ ანგარიშიც. ქალბატონი ლელას უსაზღვრო ფანტაზიის ნაყოფია ყოველწლიურად მოწყობილი საზეიმო საღამოები, რომელიც შესანიშნავ სპექტაკლებად გადაუქცევია მას. ამჯერად პატარებმა მთელი საქართველოს შემოგვატარეს. ყველა კუთხის ცეკვა და სიმღერა შეასრულეს, ყველა კუთხეს მიუძღვნეს ლექსები, შესანიშნავად გადმოგვცეს მათი ტრადიციები და მცირე ისტორიული მიმოხილვაც არ დავიწყნიათ. უზარმაზარი მაგიდა კი ამ კუთხეთა დამახასიათებელი ტრადიციული კერძებით მორთეს. მართლაც გასაოცარი იყო პატარა ვირტუოზთა მიერ მეგრულად შესრულებული სიმღერები, სვანური და რაჭული ცეკვები, ქართლ-კახური მრავალჟამიერი. სიხარულის ცრემლმორეულნი შეჰყურებდნენ მშობლები პატარების ზეიმს. გოგო-ბიჭები კი ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი სიამაყით უჩვენებდნენ მათ თავიანთ შემოქმედებას. გზა დავულოცოთ პატარებს ახლა უკვე ცოდნის დიდი სკოლა-ტაძარი ელით მათ, სადაც ახალ მეგობრებთან ერთად მიუსხდებიან მერხებს.

**ავთანდილ ბექაური**



პატარა სოფო მჭედლური მომავალ წელსაც საყვარელ ბაღს მიუბრუნდება.



დაჩი ვაშაკიძე სექტემბერში სკოლის მერხს მიუჯდება.

ინფორმაცია

## მთაწმინდაზე დაავადებული, გამხმარი ხეები ახალი ნარგავებით შეიცვლება

**მთაწმინდამდე მიმავალი საავტომობილო გზის მიმდებარედ წიწვოვანი ხეების ხმობის პროცესთან დაკავშირებით დედაქალაქის მერმა დავით ნარმანიამ კომენტარი გააკეთა.**



**ნარმანიას თქმით, გამწვანების სამუშაოების დროს გამხმარი ხეები ახალი ნარგავებით შეიცვლება.**

**„ის ხეები, რომლებიც არის დაავადებული, ამ ხეებს არაფერი აღარ ეშველებათ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩანაცვლების გარდა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ინვენტარიზაციას გავაკეთებთ ასეთი ხეებისა. რაღაც ნაწილის შესახებ ინფორმაცია არის ისედაც ჩვენთან შენახული. ამიტომაც, შემდგომ პერიოდში, როდესაც გავაგრძელებთ გამწვანების სამუშაოებს, გარკვეული სამუშაოები იქნება იმ ადგილებზე, სადაც არის გამხმარი ხეები“, — დასძინა ნარმანიამ.**

**მთაწმინდამდე მიმავალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელოვნურად გაშენებული წიწვოვანი ტყეა. ხეების ხმობის პროცესი საკმაოდ დიდ ფართობზეა გავრცელებული. მრავალწლოვანი ფიჭვების რამდენიმე გამხმარი ხე უკვე მთაწმინდის პარკის გარეთ ხეივანშიც შეინიშნება.**

**ინტერპრესი**

ვიდეოგადაღება

## პედაგოგების შეფასების ახალი მეთოდი

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის განმარტებით, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში არსებობს პედაგოგებზე დაკვირვების ორი ვარიანტი: **პირველი, როდესაც კარგად მომზადებული დამკვირვებელი ესწრება გაკვეთილს და მეორე, ვიდეოგაკვეთილის შეფასება**. ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება აშშ-ში და ევროპის ბევრ მოწინავე ქვეყანაში. საქართველო, პედაგოგთა კარიერული ზრდის ახალი სქემის მიხედვით, ამ მეორე ვარიანტს ირჩევს — აცხადებს ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი და აკონკრეტებს — სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი ის არის, რომ პროცესის წარმმართველი თავად პედაგოგია, ის წყვეტს, რომელ გაკვეთილს გადაიღებს და როდის.

ამ მოდელის მიხედვით, მასწავლებელი საკუთარ სკოლაში შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილ საკლასო ოთახში ერთი კვირის განმავლობაში ატარებს გაკვეთილებს. შემდეგ მათგან თვითონვე არჩევს 2-3 ვიდეოს და აგზავნის ჩვენთან, ცენტრში. ამგვარი შერჩევითობის შესაძლებლობა პედაგოგებს იმის გამო ეძლევათ, რომ შესაძლოა იგი იყოს კარგი მასწავლებელი, მაგრამ კონკრეტული გაკვეთილი არ გამოუვიდეს, უბრალოდ თავი დაძაბულად იგრძნოს, — ამბობს მიმინოშვილი. 2015 წელი პილოტირებისა იქნება. ამჟამად ცენტრში მიმდინარეობს შემოწმების სისტემის საბოლოო დახვეწა. ის 2016 წლიდან შევა ძალაში და მაქსიმალურად მისაღები იქნება პედაგოგებისათვის, რადგანაც გაზიარებულია იმ ქვეყნების გამოცდილება, სადაც ამგვარი სისტემა ეფექტურად მუშაობს, ასკვნის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი.

იგი განმარტავს, რომ ამ დროს არ მოხდება პედაგოგის საგნობრივი ცოდნის შეფასება, რადგანაც მათი ცოდნა გამოცდილებით ფასდება. აქ გადაიხედება, რამდენად ეფექტურად ახერხებს მასწავლებელი კლასის მართვას, რამდენად თავისუფლად შედის კომუნიკაციაში მოსწავ-



ლეებთან, როგორ ერთვება გაკვეთილის პროცესში, სვამს თუ არა დროულ კითხვებს და ა. შ. ამისთვის, — განმარტავს მიმინოშვილი, — შეფასებისა და გამოცდილების ეროვნულ ცენტრში მიმდინარეობს რუბრიკების დახვეწა. სწორედ მათი მეშვეობით მოხდება პედაგოგთა შეფასება. რუბრიკები მასწავლებლებს წინასწარ დაურიგდებათ, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ის კრიტერიუმები, რასაც მიექცევა ყურადღება შეფასებისას.

მაგრამ, — ამბობს მიმინოშვილი, ეროვნულ ცენტრში მასწავლებელი გარდა ვიდეოგაკვეთილისა, აგზავნის გაკვეთილის გეგმასა და რეფლექსის დოკუმენტს. სადაც აღწერილი იქნება, რა მიზანი ჰქონდა დასახული, რას მიაღწია ან ვერ მიაღწია და რატომ.

ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ საქართველოში ვიდეოგაკვეთილის შეფასების (ექსპერტის დონეზე) გამოცდილება არ არსებობს, მაგრამ ახალი რუბრიკების დახვეწის პროცესში ცენტრის თანამშრომლები ეცნობიან რა საზღვარგარეთულ გამოცდილებას, თვითონ ყალიბდებიან ექსპერტებად.

მიმინოშვილი იმაზეც საუბრობს, თუ რა პირობებში უნდა მოხდეს ვიდეოგაკვეთილის ჩაწერა. გამოიცადა რამდენიმე ვარიანტი, საბოლოოდ შევჯერდით შედარებით ნაკლებადღირებულ ტექნიკაზე, იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ტექნიკურ კუთხეს, კერძოდ, მოსწავლეებისა და მასწავლებლის ხმა და გამოსახულება უნდა იყოს მკაფიო, პედაგოგი მუდმივ რეჟიმში უნდა ჩანდეს. ერთი მიკროფონი მასწავლებელს ეკეთება, მეორე ოთახის შუაში იქნება ჩამოკიდებული. ამ საკითხების მოგვარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა — რათა ყველა სკოლაში შესაბამისი აღჭურვილობის ერთი საკლასო ოთახი მაინც იყოს მოწყობილი.

დასკვნის სახით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი მაია მიმინოშვილი აცხადებს, რომ სიახლე მიზნად ისახავს ერთ რამეს — შეაფასოს, შეუძლია თუ არა პედაგოგს კარგი გაკვეთილის ჩატარება. შეუძლია თუ არა მასწავლებელს ყოველდღიურად კარგი გაკვეთილის ჩატარება, ამას სისტემა ვერ შეაფასებს. ის, თუ როგორ წარმართავს პედაგოგი მთელი წლის განმავლობაში გაკვეთილებს, ამაზე, პასუხისმგებლობა სკოლამ უნდა აიღოს.

**ზაზა ბილიხოძე**

პოეზია



# ლექსი გულიდან ამომხევდა...

## ქართველ მშენებლებს

**1964 წელს პოლონეთში ყოფნისას გავიგეთ, რომ ქ.კრაკოვი სილამაზემ გადაარჩინა ფაშისტებისგან სამამულო ომის დროს. ამ წელს ჯერ კიდევ ნახევრად დანგრეული იყო სხვა ქალაქები, კრაკოვი კი გადარჩა.**

გაიგონეთ, ქართველებო,
შევქმნათ მუდამ ღირებული!
სახლები, ქანდაკებები,
შენობები ჩინებული!
რომ მოყვასმა გაიხაროს!
მომავალმა კი ისწავლოს,
მტერმა მის მშვენიერებას
ვერსად ნაკლი ვერ უპოვოს.
და პირიქით, მოიხიბლოს
და აღტაცებით შესძახოს:
ბრავო, ყოჩაღ ქართველ შემქმნელს!
უცხოელმაც რომ შეგვაქოს!

## ექსპრომტი

უსიყვარულოდ ბნელია თურმე!...
ვისაც უყვარდი, წავიდა ყველა...
— ზოგი ხომ ცხოვრობს უსიყვარულოდ?
— საცოდავია ის, ჩემო ყველავ!...

## ბედთან ჭიდილი

მუდამ, ყოველთვის, რაც თავი მახსოვს,
ახლაც ერთმანეთს კვლავ ვებრძოლებით,
ბედნიერებას სხვისთვის იმეტებ,
მე კი ამავსე სულ ქვემძრომებით!...

ხანდახან თითქოს მეც მიღიმოდი,
მაგრამ მარგუნე სულ ერთი ციდა,
ახლა ცხოვრებას ვერ შემარიგებ,
რომც დამაყარო ვარსკვლავნი ციდან!

რატომ დამტანჯე, რა დაგიშავე?
ამდენჯერ რატომ მატკინე გული?
უომრად მაინც არ დაგნებდები!
თუმცა ვბერდები, გაკაჟდა სული!...

## თურმე...

თურმე სულ არ არის ჩემი გული
ბრძოლებისათვის დაბადებული.
თურმე ის ვერ უძლებს განრისხებას,
ვერც სიბოროტეს, შურისძიებას...

და მაინც, სულ ბრძოლა, ჭიდილი
ცილისმწამებლებთან, ჭორებთან...
სიკეთის პასუხად შური და
მტრობა, სისასტიკე ყოველთა...

და, თუ საჭიროა დიდებისათვის —
სულის მიყიდვა ეშმაკისათვის,
მაშ, სხვა შეამკეთ თქვენ გვირგვინებით,
მე სამუდამოდ გემშვიდობებით!...

## მამულს

ჩემო მამულო, მე ყველგან
შენს დიდებაზე ვმღეროდი,
სილამაზეზე შენსაზე,
ვაჟკაცობაზე ვმსჯელობდი...

და ნუ მომასწრებ მე იმ დღეს,
სიტყვები სიტყვად რჩებოდეს,
ეს სილამაზე ქართული
სადღაც უკვალოდ ქრებოდეს,

ქართველის რაინდობაზე
მხოლოდ ლეგენდა ჰყვებოდეს?

## შვილიშვილებს

თუ გიყვარს შენი სამშობლო, ერი,
უნდა ეცადო, აკეთო ბევრი,
და მოიხადო შენ მის წინ ვალი,
დატოვო ქვეყნად თუნდ მცირე კვალი

## ჩემი ერი

ვით შემიძლია მე ვიყო მშვიდად,
როს, ჩემო ერო, ჯერ ისევ გიჭირს...
ო, როგორ მინდა, ვიდრე ცოცხალ ვარ,
შენი დიდების ხმა მესმას დუხჭირს!

ერო ამაყო, ერო კეთილო,
ერო ლამაზო და მშვენიერო!
ცუდნი მაშინ ვართ, როს ისე არ ვართ,
ვით გვეკადრება, უიღბლოვ ჩემო!

შენი შვილი ვარ, ერთ ბედქვეშა ვართ,
ვთესავთ ყვავილებს და ვიმკით ბალახს!
— თუ სხვანაირად არ შეგვიძლია?
— როს სიკეთეს ვთესთ, რად ვიმკით ღალატს?!

## მე ტირიფი ვარ

მე დრუიდების ჰოროსკოპით ტირიფს მადარეს,
და ჩემი ბედიც — ეს სასტიკი — მისთვის მადარდებს:
ტირიფი მუდამ მტირალია, არის ლამაზიც,
თავდახრილია ბედს მორჩილებს სუსტი და ნაზი!...

მეც ბედისაგან დაჩაგრულსა, ასე მგონია,
ამიტომაც მდევს მუდამ დარდი, მელანქოლია...
პესიმიზმი ხომ უსაფუძვლოდ არასდროს მოდის,
და ჩემი ბედიც ამის საბაბს მაძლევს, მგონია.
რაც არ ვეცადე, ბედის ჩარხი ვერ მოვაბრუნე,
და ტირიფივით მეც თან დამდევს მელანქოლია.

## ვედრება

დე, ნუ დარჩება სიყვარული და სილამაზე
მხოლოდ წიგნებში, ზღაპრებსა ან მხოლოდ სცენაზე,
მოჩვენებითი ნუ იქნება ნურც სათნოება,
ნურც გულწრფელობა, ნურც ტრფობა და ნურც სიფაქიზე!
სულის სიწმინდეს, გულის სითბოს, რწმენას და ხალისს,
გთხოვთ, ნუ დახარჯავთ, გაუფრთხილდით,
გემუდარებით!
და სულგრძელობით, მოთმინებით, ერიდეთ ავსა,
შურს, სიბოროტეს, ნუ შეაჩვევთ საკუთარ თავსა!

## რაა მოკეთე?

რაა მოკეთე — გაჭირვების ჟამს თუ არ გიშველის?
რაა მოკეთე, — დალხინებაშიც გვერდს არ გიმშვენებს?
ვისგან რას ელი, თუ მოკეთე შენ განგიდგება?!
საუბედუროდ უცხო უფრო გვადგება...

## შვილიშვილებს

ჩემო კარგებო, არ გახდეთ არა
თქვენ სურვილების მონა-მორჩილნი!
ეცადეთ მუდამ, თვით სურვილები
დაიოკოთ და დაიმორჩილოთ.

გთხოვთ, ნურასოდეს გაბოროტდებით,
რომც იშვიათად გწყალობდეთ ბედი,
სულის სიმტკიცე გამოიჩინეთ, —
წარმატებამ არ დაგასხათ რეტი!

ხალხი ჭრელია, არასდროს ენდოთ,
ორპირს და ეშმაკს, ფლიდსა და თვალთმაქცს.
მეგობარს ნახავთ, მას გაუფრთხილდით
და არ დაკარგოთ! ენდეთ ჩემს ნათქვამს!

თუ გიყვარს შენი სამშობლო, ერი,
უნდა ეცადო, აკეთო ბევრი
და მოიხადო შენ მის წინ ვალი,
დატოვო ქვეყნად თუნდ მცირე კვალი!

იცით, ცხოვრება ცვალებადია:
დღეს ერთს გპირდებათ, ხვალ კი მეორეს...
თავად ეცადეთ, არსად მოტყუვდეთ,
ერთი შეცდომა არ განმეორდეს!

რომ შეგაქებენ, ნუ იტრაბახებთ!
მოეწონებით — თავს ნუ გაიდებთ!
თუ შეუყვარდით, ნურვის გაანდობთ!
დაგაშორებენ, არვინ დაგიდევთ!

**ალექსანდრა ლელუაშვილი-მაჭავარიანი**

# დედამიწის ზურგზე



## ხმები შეუცნობელი მფრინავი ობიექტების შესახებ კვლავ აშფოთებს მსოფლიოს: ახალმა შემთხვევებმა შეიძლება შეავსონ მაისის ჰიტ-პარადი

ამ დღეებში დამოწმებათა ყულაბა შეუცნობელი მფრინავი ობიექტების შესახებ შეავსო ცოლ-ქმარმა ბრიტანეთის საგრაფო შროპშირიდან. მათ განაცხადეს, რომ გადაიღეს სურათი მათ სახლზე გადამფრენი უცნაური ობიექტისა. ეს შემთხვევა უფოლოგების შესწავლის შემდეგ სავსებით შეიძლება შევიდეს მაისის უცხოპლანეტების შესახებ რეიტინგის ისტორიაში.

## უმაღლესი რადის დეპუტატმა შესთავაზა, გადაარჩინონ უკრაინის ბიუჯეტი პროსტიტუციის ლეგალიზაციის დახმარებით



პროსტიტუციის ლეგალიზაცია საშუალებას მოგვცემს ავიღოთ გადასახადები უძველესი პროფესიის წარმომადგენლებისაგან. ამას გარდა, ეს საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ვენერიულ დაავადებათა გავრცელება, მიაჩნია სახალხო დეპუტატს, რომელიც ცნობილი გახდა „შიშველი ვიდეოს“ წყალობით.

## ვულკანი კუტინოერაბუ იაპონიის სამხრეთ დასავლეთში ამოქმედდა, გამოცხადდა ევაკუაცია



ამოფრქვევას მიენიჭა მეხუთე, საფრთხის ყველაზე მაღალი დონე. პირველ წუთებში კვამლის სვეტის სიმაღლე 9 ათას მეტრს აღწევდა. ამ პატარა კუნძულის ყველა მცხოვრები, სადაც ეს ვულკანია, ევაკუირებულია.

## პენტაგონი: ამერიკის შეერთებული შტატების არც სამხედრო ტვირთი, არც ჯარისკაცები ავღანეთში რუსეთის გავლით აღარ გადაჰყავთ

„ჩვენთან მომუშავე კომერციული გადამზიდები, რომლებიც კონტრაქტით არიან ჩვენთან, არც სამხედრო თვითმფრინავები ამჟამად აღარ მიდიან ტრანზიტით რუსეთის გავლით და აღარ ახორციელებენ გადაფრენას საჰაერო სივრცით“, — განაცხადა პენტაგონის თანამშრომელმა, როდესაც უპასუხებდა შეკითხვას, გადაჰყავთ თუ არა ისევ ავღანეთში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიისა და საჰაერო სივრცის გავლით ამერიკის შეერთებული შტატების სამხედროები და ტვირთები.



ფეხბურთი

# ცხადაძემ 24 კანდიდატი გამოიძახა

**საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ მოახლოებული სანაკრებო მატჩების წინ 24 მოთამაშეს უხმო.**




**მეკარეები:** გიორგი ლორია („ოლიმპიაკოსი“, საბერძნეთი), ნუკრი რევიშვილი („ტოსნო“, რუსეთი), როინ კვასხვაძე („ოთელოსი“, კვიპროსი).

**მცველები:** ალექსანდრე ამისულაშვილი („ინტერი“, აზერბაიჯანი), გურამ კაშია („ვიტესი“, ჰოლანდია), სოლომონ კვირკველია („რუბინი“, რუსეთი), უჩა ლობჟანიძე („ომონია,“ კვიპროსი), კახა ალადაშვილი („სკა ენერგია“, რუსეთი), გიორგი ნავალოვსკი („ტოსნო“, რუსეთი), ლაშა დვალი („ქასიმფაშა“, თურქეთი), ლაშა სალუქვაძე („ინტერი“, აზერბაიჯანი).

**ნახევარმცველები:** მურთაზ დაუშვილი („კარპატი“, უკრაინა), კახა მახარაძე („ფახთაქორი“, უზბეკეთი), ჯანო ანანიძე („სპარტაკი“, რუსეთი), ალექსანდრე კობახიძე („ვოლინი“, უკრაინა), ვალერი ყაზაიშვილი („ვიტესი“, ჰოლანდია), გოგიტა გოგუა („სკა ენერგია“, რუსეთი), ლევან ყენია („სლავია“, ჩეხეთი), თორნიკე ოქრიაშვილი („გენკი“, ბელგია), ჯაბა კანკავა („დნიპრო“, უკრაინა).

**თავდამსხმელები:** ლევან მჭედლიძე („ემპოლი“, იტალია), მათე ვაწაძე („ორჰუსი“, დანია), გიორგი ჭანტურია („კლუჟი“, რუმინეთი), ბაჩანა ცხადაძე („ინტერი“, აზერბაიჯანი).

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები 3 ივნისიდან საწვრთნელ შეკრებაზე ავსტრიაში გაემგზავრება, 9 ივნისს ქალაქ ლინცში ამხანაგურ შეხვედრას უკრაინის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, 13 ივნისს კი ევრო 2016-ის შესარჩევ მატჩში პოლონელებს ვარშავაში დაუპირისპირდება.

როგორც სოციალურ ქსელში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური გვერდი იუწყება, ორივე მატჩის რეპორტაჟი საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხით გადაიცემა.

**გიორგი შოთაძე**

კარატე

# ქართველთა წარმატება ყატარის საერთაშორისო ტურნირზე



**2 ოქრო, 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო — ასეთია საქართველოს ნაკრების მიერ ნაჩვენები შედეგი ყატარში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც საქართველოს კარატეს ეროვნული ნაკრები ოთხკაციანი შემადგენლობით გამოვიდა.**

ყატარის მეოთხე საერთაშორისო ჩემპიონატი თავისი პოპულარობით მსოფლიო ჩემპიონატებს არ ჩამოუვარდება, საპრიზო ფონდი კი 25 000 დოლარია.

გოგიტა არქანიამ (-84 კგ) და ჰენრი ვეკუამ (-75 კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს, დავით ტყებუჩავამ (-60 კგ) ვერცხლი აიღო, ხოლო ირაკლი ტყებუჩავა (-67 კგ) ბრინჯაოს დასჯერდა. ჩემპიონატის პოპულარობას ისიც განსაზღვრავს, რომ წონითი კატეგორიები შეზღუდულია — სულ ხუთი წონაა.

ყატარის საერთაშორისო ჩემპიონატზე მოსახვედრად მსოფლიო რეიტინგებია საჭირო, რომლის გადალახვაც ქართველი კარატისტებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროში კარატეს ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ და სპორტსმენებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძეც დაესწრო.

**კობა კობახიძე**

ჭადრაკი

# ბაციაშვილი ლიდერობას ინარჩუნებს

**ორიოდე ტურიც და ჩაქვში დამთავრდება მოჭადრაკე ქალთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც 19 ქვეყნის 98 წარმომადგენელი მონაწილეობს. რვა ტურის შემდეგ 7.5 ქულით ბათუმელი ნინო ბაციაშვილი მეწინავეობდა.** მე-9 ტურში იგი მე-40 სვლაზე დაუზავდა სალომე მელიას და 8 ქულით ლიდერობა შეინარჩუნა. ქართველ დიდოსტატს ნახევარი ქულით ჩამორჩება უკრაინელი ნატალია ჟუკოვა, რომელმაც შავებით ბელა ხოტენაშვილს აჯობა. საგულისხმოა, რომ 2000 წელს ევროპის ქალთა პირველ ჩემპიონატზე ბათუმში სწორედ ჟუკოვამ გაიმარჯვა.

**მე-9 ტურში ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთა პარტიები ასე დასრულდა:** მიხაელა სანდუ (რუმინეთი) — ელინა დანიელიანი (სომხეთი) 0:1, ოლგა გირია (რუსეთი) — ეკატერინა კოვალევსკაია (რუსეთი) 1:0, მონიკა სოჩკო (პოლონეთი) — ინა გაპონენკო (უკრაინა) 0.5:0.5, ანასტასია ბოდნარუკი (რუსეთი)-ალინა კაშლინსკაია (რუსეთი) 0.5:0.5, მარინა გუსევა (რუსეთი) — მერი არაბიძე 1:0.

**ცხრა ტურის შემდეგ საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლთა შორის ასეთი მდგომარეობაა:** ბაციაშვილი — 8, ჟუკოვა — 7.5, მელია, დანიელიანი, გირია, გუსევა — 6.5-6.5 ქულა. მოჭადრაკეთა დიდ ჯგუფს 6-6 ქულა აქვს.

**გივი გაგუა**



**სურათზე: ნინო ბაციაშვილი (მარცხნივ) და ნატალია ჟუკოვა.**

ჩოგბურთი

# შაფათავა და გორგოძე მეოთხედფინალში არიან

**იტალიასა და სლოვენიაში გრძელდება ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირები, სადაც წარმატებით ასპარეზობენ სოფიო შაფათავა და ეკატერინე გორგოძე.**



საქართველოს ჩოგბურთელ ქალთა ლიდერი შაფათავა იტალიურ გრადოში გამოდის. პირველ წრეში მან მარინა შამაიკოს (რუსეთი) აჯობა — 6:3, 6:2, მეორეში კი შარონ ფიჩმანს (კანადა) სძლია 3:6, 6:1, 6:4 და მეოთხედფინალში გავიდა, სადაც კრისტინა შმიედლოვასთან (სლოვაკეთი) გაარკვევს ურთიერთობას.

მარიბორში ორი წრე განვლო წარმატებით გორგოძემაც: სტარტზე შვეიცარიელი ლარა მიხელი ჩამოიშორა გზიდან — 6:7, 6:4, 6:1, მერვედფინალში მე-7 ნომრად განთესილი ჟანა ფეტი (ხორვატეთი) დაამარცხა და მეოთხედფინალში დოროთეა ერიკს (სერბეთი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა ასპარეზობის მეორე ნომერი სლოვენიელი ნასტია კოლარი (7:5, 6:4) და მისი თანამემამულე ნატალია სიპეკი (6:2, 6:2) დაჯაბნა. საგულისხმოა, რომ გორგოძე კოლარისთან ერთად წყვილებში ტურნირის რეიტინგფავორიტია და ნახევარფინალში ჩეხების — პეტრა კრეიშოვას და კატერინა ვანკოვას დუეტს შეხვდება.




**ლაშა დიდია**

კალათბურთი

# სოსო მაჭავარიანი სამშობლოში ჩემპიონის და MVP-ის ტიტულით ბრუნდება

**ქართველი კალათბურთელის სოსო მაჭავარიანის გუნდის „ტიგულიოს“ ტრიუმფით დასრულდა იტალიის 19 წლამდელთა ჩემპიონატი, საკუთარი გუნდის გამარჯვებაში კი ლომის წილი სწორედ ჩვენმა თანამემამულემ დაიდო. პირველობისთვის გადამწყვეტ, სერიის მესამე მატჩში ტიგულიოელებმა „სან რემოს“ 66:53 მოუგეს, შეხვედრის MVP კი სოსო მაჭავარიანი გახდა.**




ფინალური სერიის პირველი მატჩი „ტიგულიომ“ 68:51 მოიგო, მეორე დაპირისპირებაში სან რემოელებმა 64:61 იმარჯვეს, დასკვნითი სატიტულო დუელი კი ქართველი მსროლელი-ფორვარდის ბენეფისად იქცა. 2400 მაყურებლის დასწრებით სან მარგარიტაში ჩატარებულ შეხვედრაში სოსომ პარკეტზე 34 წუთი გაატარა, 12 ქულა (შვიდიდან 4 ორქულიანი ჩააგდო,ერთადერთი სამქულიანის მცდელობა ზუსტი ჰქონდა, 2 ჯარიმიდან ერთი სათანადოდ გამოიყენა), 11 მოხსნა (4 მეტოქის ფარზე), 3-3 შედეგიანი გადაცემა და ჩაჭრა, ერთიც დაფარება შესძინა გუნდს და სავსებით სამართლიანად აღიარეს გადამწყვეტი დაპირისპირების საუკეთესო მოთამაშედ.

,,საინტერესო და დაძაბული საკალათბურთო ჩემპიონატი იყო. დიდი გამოცდილება შევიძინე. განსაკუთრებით დაძაბული იყო ფინალური მატჩი „სან რემოსთან“. მისი ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა. მეტოქე ძლიერი იყო, მაგრამ ჩვენმა გუნდმა, რომლის ბირთვს ლეგიონერები შევადგენდით (ჩემთან ერთად ამერიკელი, სერბი და დომინიკელი კალათბურთელები გამოდიან) შევძელით თამაშის ჩვენს სასარგებლოდ შემობრუნება, წარმატებით დავასრულეთ ბრძოლა და მოვიპოვეთ ჩემპიონის ტიტული.

მთელი თამაშის განმავლობაში ვგრძნობდით „ტიგულიოს“ გულშემატკივრების აქტიურ მხარდაჭერას — მადლობა მათ!

ხვალ მოვფრინავ... კარგი შეგრძნებაა-სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნება!“ — განაცხადა სოსომ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# ზოის ფრანგული შარმი

**როგორც ფოთში კოლო და კეფალი არ დაილევა, ისე საფრანგეთში არ დაილევიან ლამაზმანები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან შესამოსელი განიძრონ და ყოველგვარი „ზედმეტი“ ჭინჭებისაგან გათავისუფლებულნი წარუდგნენ მრავლისმნახველ ფრანგულ საზოგადოებას.**

იქაური ფრანგი მოდელი ზოი დუჩესნი ერთ-ერთი მათთაგანია, რომელიც დიდი ხანი არ ალოდინებს ტან-ფეხ-ბარძაყ-მკერდთა მოყვარულებს და მისი ფოტოსესიები ისეთივე თვალისმომჭრელია, როგორც თავად საფრანგეთი. ამასთან ერთად, ზოი ერთ-ერთი მათთაგანია, რომელიც მომავალი ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის თილისმად ითვლება.

ზოი დუჩესნი უკვე წელიწადზე მეტია, რაც საფრანგეთში 2016 წელს გასამართ ევროპის ჩემპიონატს ოფიციალურად აპიარებს და ამაში ჩემპიონატის საორგანიზაციო ჯგუფი გვარიან თანხასაც უხდის. ზოი დარწმუნებულია, რომ ევროპის პირველობაზე ჩემპიონი საფრანგეთის ნაკრები გახდება, თუმცა, ბოლომდე მაინც დიპლომატიურობას ინარჩუნებს და იმედი აქვს, რომ ღირსეული გაიმარჯვებს.



**როსტომ რაჭველიშვილი**

სილამაზის მსახური

# რამდენს უხდიან საქართველოში მოდელებს?

## „მივაღწიეთ იმას, რომ გოგონების შრომა ანაზღაურებადია“

**მოდელობა საზღვარგარეთ ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მაღალანაზღაურებადი საქმიანობაა, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე. ქართულ მოდას დიდი ისტორია აქვს, თუმცა, მისი განვითარება მხოლოდ ბოლო წლებში დაიწყო. რასაც ხელი მოდის კვირეულმა და უცხოურ სააგენტოებთან კონტაქტების დამყარებამ შეუწყო. ქართველ დიზაინერებს უკვე იწვევენ მსოფლიოს მოდის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად, ქართველი მოდელები კი მსოფლიოს წამყვან დიზაინერებთან და სააგენტოებთან თანამშრომლობენ.**

**ცნობილი ქართველი მოდელი თაკო ჩხეიძე, ერთ-ერთი პირველი ადამიანია ქართული მოდის სამყაროდან, რომელიც უცხოურ სააგენტოებთან თანამშრომლობდა. თაკო წლებია, საკუთარ გამოცდილებას ქართული მოდის განვითარებას უზიარებს. სწორედ ის გახლავთ თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორი, რომლის მეშვეობით ქართველი დიზაინერების და მოდელების შესახებ უცხოელმა ბაიერებმაც გაიგეს. მოდის კვირეულს ყოველ სეზონზე სტუმრობენ მსოფლიოს მოდის კრიტიკოსები და დიზაინერები. თაკომ საკუთარი სამოდელო სააგენტო Geomodels ჩამოაყალიბა, რომლის მოდელებიც უცხოეთის წამყვან სააგენტოებთან თანამშრომლობენ.**

**— თაკო, ვინ არიან თქვენი სააგენტოს მაღალანაზღაურებადი მოდელები?**

— ანი ჩიხლაძე, ანა შელია, მარიამ სანოგო, ნინი კაკაბაძე, ნათია ჩიქოვანი, მარიამ მღებროვი, მარიტა ჯანაშია. ფოტომოდელს რაც შეეხება, გვყავს უკრაინელი გოგო იარა და რუსი იანა, მათ ბევრი ითხოვს ფოტოგადაღებებზე, კარგად პოზირებენ, პროფესიონალები არიან.

**— რის მიხედვით განისაზღვრება მოდელების ანაზღაურება და დაახლოებით რამდენია ძვირად ღირებული მოდელების ჰონორარი?**

— მოდელები იყოფა დონეებისა და გამოცდილების მიხედვით. ასეა ჩვენს სააგენტოშიც, შესაბამისად, ანაზღაურებაც განსხვავებულია, დამწყებს უფრო ნაკლები ანაზღაურება აქვს. რეკლამებში უფრო ბევრია ანაზღაურება, ჩვენებებზე უფრო ნაკლები, ჟურნალის ედიტორიალებში კიდევ სხვა ჰონორარია, სახესაც გააჩნია. თბილისის მოდის კვირეული ეხმარება მოდელებს პოპულარიზაციაში, დიზაინერებისგანაც ცნობილ მოდელებზეა მოთხოვნა, მაგრამ ყველა სეზონზე გვყავს ახალი სახეები. გვყავს მოდელები, რომლებიც პოდიუმზე მუშაობენ და რომლებიც გადაღებებზე მუშაობენ. თბილისის მოდის კვირეულზე თითო ჩვენებაში 100 ლარს უხდიან მოდელს, მივაღწიეთ იმას, რომ გოგონების შრომა ანაზღაურებადია. სარეკლამო გადაღებებში მაღალანაზღაურებადი მოდელების ჰონორარი 500 დოლარიდან იწყება, ლუქბუქებში გადაღება 200 დოლარი ღირს. თუ უცხოური კომპანიების რეკლამაში იღებენ მოდელს, იქ სხვა მოთხოვნაა.

**ნინო ცქიტიშვილის სამოდელო სააგენტო** Look models **ძირითადად უცხოურ სააგენტოებთან მუშაობს. სააგენტოს მოდელი თაკო ნაცვლიშვილი მსოფლიოს წამყვანი დიზაინერების ჩვენებებში იღებს მონაწილეობას. ახალგაზრდა მოდელს უცხოელები ნამდვილ აღმოჩენად მიიჩნევენ, ასე მოხდა ელენე მახარაშვილის შემთხვევაშიც, რომელსაც მსოფლიოს მოდის სფეროში ელენსიოს სახელით იცნობენ.**



— ჩემი სააგენტოს მაღალანაზღაურებადი მოდელები არიან: თაკო ნაცვლიშვილი, ელენე მახარაშვილი, მარიშა ურუშაძე, მაგდა მელიქიშვილი, მანიკა ასათიანი, ნინი ნებიერიძე, ნინა ფოცხიშვილი, ელენე კოპალეიშვილი. აქედან უმეტესობა უცხოეთში მუშაობს. რა თქმა უნდა, იქ უფრო მეტს იღებენ, ვიდრე საქართველოში. თუ ჩვენი მოდის კვირეულზე ერთ გამოსვლაში მოდელს 100 ლარს უხდიან, უცხოეთში ჰონორარი 900 ევროდან იწყება. სარეკლამო გადაღებების ანაზღაურებას რაც შეეხება, სამუშაო პირობებს გააჩნია, ამის მიხედვით განისაზღვრება ანაზღაურება.

სამოდელო სააგენტო „ნატალის“ ქართული მოდის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის. **ნატა სამადალაშვილი** პირველი ქართველი ქალია, რომელმაც სააგენტო შექმნა. არაერთი ულამაზესი გოგონა, რომელიც დღეს უკვე წარმატებულია, სწორედ მან აღმოაჩინა.

**მარიამ გიორგობიანი. ყოფილი მოდელი, „ნატალის“ მენეჯერი:**

— როცა დამკვეთი მოდის, ფასები ცნობადობის მიხედვით განისაზღვრება. ჩვენი ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელები არიან **სოფო ჩაკვეტაძე, თინათინ ნატროშვილი, სოფო ხუბერაშვილი, ანა ნიშნიანიძე.** „მერსედესის“ და თბილისის მოდის კვირეულზე სტანდარტული ანაზღაურება აქვთ მოდელებს, თითო გამოსვლა ასი ლარი. რაც შეეხება სარეკლამო გადაღებებს, „ნატალი“ მინიმუმ 800 დოლარიდან იწყებს მოლაპარაკებას დამკვეთთან. მაგალითად ერთ-ერთი ბანკის რეკლამის ბანერზე განათავსეს ჩვენი გოგონა, ამ შემთხვევაში, გაფორმდა ორწლიანი კონტრაქტი, რომლის მიხედვით, გოგონას ყოველწლიურად გადაუხდიან 700 დოლარს. როცა საზღვარგარეთ ვუშვებთ მოდელებს, უფრო მეტ თანხაზეა საუბარი. პირველ რიგში, უცხოურმა მხარემ უნდა უზრუნველყოს გოგონას წაყვანისა და განთავსების ხარჯები, შემდეგ ვსაუბრობთ ჰონორარზე. შეიძლება ცუდად ვთქვა, მაგრამ დავარდნილია ფასი ბაზარზე და მოდელს არა აქვს შესაბამისი ანაზღაურება. ახლა ბევრი სააგენტოა თბილისში, რაშიც ჩვენ 700 დოლარს ვითხოვთ, შესაძლოა, სხვა სააგენტომ იმავე პირობებზე 100 დოლარად იმუშაოს. ეს ფაქტორი ყველა სააგენტოზე მოქმედებს.

**თამარ ბოჭორიშვილი**

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი თანაუგრძნობს აპარატის უფროსს ოთარ გარმელიას ბიძაშვილის

**ბორის გერმანეს ძე გარმელიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---



მეუღლე ზაირა პატეიშვილი, შვილები დავით, ქეთევან, ნინო გუჯაბიძეები, რძალი ნანა სიმონიშვილი, სიძეები მამუკა ფარესიშვილი, ნიკოლოზ ნამიჭეიშვილი, შვილიშვილები ეკა, ჯიმშერ, ბექა გუჯაბიძეები, მერაბ, გიორგი, ლევან ფარესიშვილები, თორნიკე, მირანდა ნამიჭეიშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ჯიმშერ ბათლომეს ძე გუჯაბიძე**

პანაშვიდი 31 V, 1 VI, 16 სთ. გამოსვენება 2 VI, 14 სთ. მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი №70.

---

შვილები მარინა, გლახო ჟღენტები, შვილიშვილები თათია, ნინო ჟღენტები, მიშიკო, ნინო ლეჟავები, შვილთაშვილები ელენე, ანასტასია ტაბიძეები, ქეთევან ალავიძე, დაჩი, ნიკოლოზ იმედაშვილები, რძლები სვეტა ჟღენტი, ნანა მარი, სიძეები შოთა ლეჟავა, ლევან ტაბიძე, ზურაბ ალავიძე, მამუკა იმედაშვილი, დისწულები მიხეილ, თენგიზ მარები ოჯახებით, ბიძაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები, მძახლები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ლენა პლატონის ასული ბერიძე-ჟღენტი**

პანაშვიდი ქ. თბილისში, გოგებაშვილის II შესახვევი, №4, 30, 31 V, 17 სთ. ჩოხატაურში, სოფელი დაბლაციხე 1 VI, 17 სთ. დაკრძალვა ჩოხატაურში, სოფელი დაბლაციხე 2 VI, 15 სთ.

---

ინფორმაცია

## 2016 წლის ბოლოს ბავშვთა ჰოსპისის გახსნა იგეგმება

ეს იქნება პირველი დაწესებულება/სახლი, სადაც პალიატიურ მზრუნველობას გაუწევენ ქრონიკული და უკურნებელი სენით დაავადებულ ბავშვებს. ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის მომსახურება უფასო იქნება. ბავშვთა ჰოსპისი სამი ძირითადი მიმართულებით იმუშავებს: 24-საათიანი მომსახურება ერთდროულად 10 ბავშვისთვის; დღის ცენტრი, სადაც ბავშვები და მათი მშობლები დილიდან საღამომდე დაყოვნდებიან საჭირო მომსახურების მისაღებად; შინ ზრუნვის სამსახური, რომელიც ბინაზე მოემსახურება ბავშვებს.

თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“, ააიპ „ბავშვთა ჰოსპისსა“ და „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ შორის, რის შემდეგაც დიღომში, ვაშლიჯვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ბავშვთა ჰოსპისის მშენებლობა დაიწყება.

ამ საქველმოქმედო პროექტის განხორციელებისთვის პირველი მნიშვნელოვანი შენატანი საქართველოს პრეზიდენტმა და „სამედიცინო კორპორაცია ევექსმა“ განახორციელეს. მშენებლობა ივლისში დაიწყება.

ბავშვთა ჰოსპისის აშენების იდეა 2013 წელს ჩატარებული კვლევის შემდეგ გაჩნდა, რომლის მიზანი იყო ბავშვებისთვის პალიატიური მზრუნველობის საჭიროების შესწავლა.

როგორც კვლევამ აჩვენა, საქართველოში პალიატიური მზრუნველობა ყოველწლიურად 0-დან 18-წლამდე 839 ბავშვს ესაჭიროება.

---

დაიჯესტი

## სად ცხოვრობენ „ტოროლები“

**სოციოლოგებმა გაიგეს, თუ რომელი ქვეყნის მცხოვრებლებს სძინავთ ყველაზე უკეთ.**

სპეციალისტებმა შეისწავლეს 900 ათასზე მეტი ადამიანის მონაცემები მსოფლიოს 47 ქვეყნიდან. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაგრად სძინავთ სლოვაკიის მცხოვრებლებს, დილით კი ისინი თავს გრძნობენ ფხიზლად და დასვენებულად. სლოვაკეთს ძილის მიხედვით მიჰყვებიან ჩინეთი, უნგრეთი, ჩეხეთი და პოლონეთი.

გამოკვლევის დროს მეცნიერებმა ასევე აღმოაჩინეს, რომ მსოფლიოში ყველაზე მეტი „ტოროლა“ სამხრეთ აფრიკაში ცხოვრობს. თურმე, ამ ქვეყნის ყველა მცხოვრები დილის 6 საათზე დგება.

ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ პლანეტის მცხოვრებლებს ყველაზე უკეთ სძინავთ ოთხშაბათობით, ყველაზე ცუდად კი, რამდენადაც ეს უცნაური არ უნდა იყოს — უქმე დღეებში.

## ფიზკულტურა ტვინს ეხმარება

**ფიზიკური აქტიურობა სტიმულს აძლევს ბავშვების ტვინის მუშაობას.**

გამოკვლევების შედეგების თანახმად, რომლებიც გამოაქვეყნეს მეცნიერებმა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, პატარა ბავშვების აქტიური ფიზიკური საქმიანობა კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მათს გონებრივ აქტიურობაზე, მნიშვნელოვნად ამაღლებს მას.

ასეთ დასკვნამდე მეცნიერები მივიდნენ ბავშვების დიდ ჯგუფზე მთელი რიგი დაკვირვებების შემდეგ.

გამოირკვა, რომ აქტიური პატარები გაცილებით უკეთ ართმევდნენ თავს ლოგიკურ დავალებებს, ვიდრე მათი პასიური თანატოლები. მეცნიერთა სიტყვებით, დადებითი ეფექტის საფუძველია პატარა ზარმაცებთან შედარებით აქტიური ბავშვების ტვინის ჟანგბადით ნაჯერობა.

### გამოკითხვა

**ამჟამად რამდენად ხართ კმაყოფილი იმ განათლებით, რომელიც მიიღეთ?**

**26 პროცენტი — ვარ სავსებით კმაყოფილი**

**46 პროცენტი — უფრო ვარ კმაყოფილი, ვიდრე უკმაყოფილო**

**20 პროცენტი — უფრო უკმაყოფილო ვარ**

**5 პროცენტი — სულაც არა ვარ კმაყოფილი**

**3 პროცენტი — მიჭირს პასუხის გაცემა**

**სულ გამოკითხვაში 1600 კაცმა მიიღო მონაწილეობა.**

## საღეჭი რეზინი დაგვეხმარება გახდომაში?

**საღეჭი რეზინი ხელს უწყობს გახდომას, მიაჩნიათ მეცნიერებს ამერიკის შეერთებული შტატებიდან.**

სპეციალისტებმა გამოკითხეს 37 მოხალისე, რომლებიც სადილის წინ 10 წუთის განმავლობაში ღეჭდნენ კევს. ექსპერიმენტის მონაწილეთა ნახევარზე მეტმა აღნიშნა მადის მცირედი შემცირება. მკვლევართა აზრით, რეზინის ღეჭვა თრგუნავს შიმშილის გრძნობას, რაც შეიძლება სასარგებლო იყოს მათთვის, ვინც დიეტაზე ზის.

ინფორმაციას კომენტარს უკეთებს **მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დიეტოლოგი რიმა მოსიძე:**

— სამწუხაროდ, გავხდეთ საღეჭი რეზინის მეშვეობით ძნელად რომ შევძლოთ. ღეჭვის პროცესი ხელს უწყობს კუჭის წვენისა და სხვა საკვების იმ გადასამუშავებელი ფერმენტის უხვად გამოყოფას, რომლებიც კი არ თრგუნავენ, არამედ, პირიქით, სტიმულს აძლევენ შიმშილის გრძნობას.

უფრო მეტიც, როდესაც ადამიანი რეზინს ღეჭავს, კუჭის ნერწყვოვანი გარსი იწყებს შიმშილის ეგრეთწოდებული გრელინის ჰორმონის აქტიურ გამომუშავებას. იგი მოქმედებს ტვინზე და კიდევ მეტად აძლიერებს მადას. ამრიგად, საღეჭი რეზინი არ გვეხმარება წონის დაკლებაში, პირიქით, ხელს უშლის გახდომას.

---

რეგიონი

## ე.წ. სიჩქარის მარეგულირებელი კუნძულები — ქუთაისში

**ქუთაისის მერიის ინფორმაციით, იმის გამო, რომ ქუთაისში არ არსებობდა ე.წ. სიჩქარის მარეგულირებელი კუნძულები, ქალაქში იქმნებოდა ავარიული სიტუაციები, ასევე ქვეითად მოსიარულეს ექმნებოდათ საფრთხე.**

**აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა დიდ ქალაქში არსებობს სიჩქარის მარეგულირებელი კუნძულები. ქუთაისში მისი მოწყობა წელს დაიწყო და ერთ თვეში დასრულდება.**

**ქალაქში 10 ადგილას მოეწყობა 24 ე.წ.სიჩქარის მარეგულირებელი კუნძული. საერთო ჯამში 2472 კვ.მ. ფართობი.**

**„პროექტით დაცულია ყველა არსებული სტანდარტი. კუნძულების მოწყობა მნიშვნელოვნად გაალამაზებს ქალაქის იერსახეს და გაზრდის მწვანე საფარის მოცულობას. მცენარეების მოსავლელად მოეწყობა სარწყავი სისტემები“, — ნათქვამია ქუთაისის მერიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

◉ სულიერება

# სულთმოფენობას გილოცავთ!



**31 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს სულთმოფენობას, დღეს სულის შაბათია, მიცვალებულთა ხსენების დღე...**

სულთმოფენობა იდღესასწაულება უფლის აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, ამ დიდებულ დღეს მოციქულებზე გადმოვიდა სულიწმინდის მადლი ცეცხლოვანი ენების სახით.

მოგეხსენებათ, რომ ცეცხლს აქვს თბობის, წვის და ნათების თვისება, ასევე, მოციქულებმაც, წმინდა სულით აღვსილებმა, თავიანთი ნათელით გაანათეს ქვეყნიერებაზე არსებული წყვდიადი უგუნურების, ურწმუნოებისა და ულმერთობისა.

სწორედ **მოციქულებმა შეძლეს ცეცხლოვანი სიტყვის ძალით დაეწვათ და მოეშთოთ ყოველი ბოროტება კერპთმსახურებისა, და ღვთაებრივი სიყვარულის მადლით გაათბეს და გაალღვეს ადამიანთა გაყინული გულები.**

**სულთმოფენობის დღესასწაული ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღეა!**

**საგულისხმოა, რომ ქრისტიანობა სულიწმინდის მადლის მოპოვებით განისაზღვრება.**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს: „...ოქრომ რომ ბრწყინვა დაიწყოს, ათასგვარი მინარევისგან უნდა გასუფთავდეს ცეცხლში გამოწრთობით, ადამიანის სული რომ ცოდვისგან განიწმინდოს, ცხოვრებისეულ ქურაში უნდა გამოიწვას ღვთაებრივი ცეცხლის ზემოქმედებით, არავითარ ზნეობრივ დარიგებას, განსწავლას, მწიგნობრობას არ შეუძლია გაზარდოს ადამიანი სულიერად, ასწავლოს სიყვარული, სიმდაბლე, მორჩილება, თუ ყოველივე ეს ნასაზრდოები არ არის მარადიული სულით“.

## ნინოობა

**1 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ნინოობას, მოციქულთა სწორის, ქართველთა განმანათლებლის ხსენების დღეს...**

...ცნობილია, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა შეისმინა ქალწულ ნინოს ლოცვა, მას ძალიან უნდოდა ქრისტეს ჯვარცმაზე, აღდგომაზე, მის სამოსელზე და კვართზე (მცხეთიდან მოსულ ურიებს რომ ერგოთ) გაგონილი ხილულად ენახა და თაყვანი ეცა მისთვის; ლოცვის შემდეგ სიზმრად ეჩვენა მას ღვთისმშობელი, გამოაგზავნა ივერთ ქვეყანას და სახარების ქადაგება არგუნა წილად და თან უთხრა, იქნებოდა მისი მფარველი და შემწე...

...და აი, ჯავახეთის მთებით მოადგა იგი ივერიას თავისი ნაწნავებით შეკრული, ვაზის რტოსაგან გაკეთებული ჯვრით ხელში, იქადაგა ქართლში, მოაქცია მეფე და დედოფალი...

**გიული ლიპარტია**

## მილოცვა

უაღრესად ნაყოფიერი, უმწიკლო ცხოვრების 60 წლისთავს ვულოცავ ფრიად განსწავლულ, ღვთიური და ადამიანური მადლით მირონცხებულ უსაყვარლეს პიროვნებას, დიდი აკაკის შემოქმედების თაყვანისმცემელს, საჩხერე-ჭიათურის ეპარქიის მიტროპოლიტს **მეუფე დანიელს.**

ღმერთი იყოს შენი და შენი სამშობლოს მფარველი მეუფეო!

**ცეზარ ლაშხი,**
**სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი.**



**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**
**მაჩაბლის ქ. №7.**
**29 3-37-87; 568 82-09-84..**

## ყურადღება!

**იყიდება** დიდ დიღომში „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს მდებარე 1400 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით. დატოვებულია ადგილი როგორც საცხოვრებელი სახლისთვის, ისე საცურაო აუზისა და სასპორტო მოედნისთვის. ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით. **ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.**

## სკანვორდი




◉ ცინცხალი ანეკდოტები

**მიდიოდა** ტიპი ღამით ბნელ ქუჩაში. სამ შემხვედრს სთხოვა სიგარეტი. სამივესთან კამათი მოუვიდა. სამივემ სცემა. ახია მასზე. ხომ აფრთხილებდა ჯანდაცვის სამინისტრო, მოწევა მავნეა ჯანმრთელობისთვისო.

* * *

**არნახული** პაპანაქება დაატყდა დღეს ქალაქს. როგორც უხუცესები იხსენებენ, ბოლო ხანს ასეთი სიცხე გუშინ იყო.



— აბრამ, გავიგე, დაქორწინებულხარ.

— ჰო.

— ბედნიერი ხარ?

— სხვა რა გზა მაქვს...

* * *

— სარა, მუზეუმში ხომ არ წავსულიყავით.

— მოშე, რაო, სიტყვა „რესტორანს“ ვერ წარმოთქვამ?

* * *

— მოშე, რომ იცოდე, რას ლაპარაკობენ შენზე მეზობლები, როცა შინ არა ხარ!..

— როცა სახლში არა ვარ, თუნდაც მცემონ!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოხულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24